ეროვნული ბიბლიოთეკა


# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

PRIX: 50 F. MENSUEL

№ 18 | იანვარი - თებერვალი — 1954 — JANVIER - FEVRIER | № 18


## შინაარსი:


კ. კანდელაკი — ნოე ჟორდანია როგორც პოლიტიკური მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე.

შურდული — ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლისთავი პარიზის ქართულ სათვისტომოში.

— ნოე ჟორდანიას წლისთავი მიუნხენში.

კ. გვარჯალაძე — ალექსანდრე ასათიანი.

დევნილი — საქართველოს ამბები.

კ. გვარჯალაძე — რა შეიცვალა.

გრ. ურატაძე — საქ. კომუნისტურ პარტიაში.

რ. ინგილო — 1453 - 1053.

იგი — კორეის ტყვეთა შორის.

ვ. — უცხოეთის პრესიდან.

— ფინეთის ამბები.

ბიბლიოგრაფია

ნ. უ. — ვერა ფაღავა.

ქრონიკა.

შეცდომის გასწორება.


## ნოე ჟორდანია

### როგორც პოლიტიკური მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე *)

ნოე ჟორდანია... ნახევარ საუკუნეზე მეტი ეს სახელი საგანი იყო ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების:

ხან, როგორც ნიჭიერი და საინტერესო — **მწერლის**, და ხან, როგორც საქართველოს **მშრომელი ხალხის ბელადის** და იდეური ხელმძღვანელის;

ხან, როგორც მთელი ერის მიერ ნდობით აღჭურვილი **მეთაურის**, და ყოველთვის, როგორც **იმედის**, რომლიდან საზოგადოება მოელოდა რჩევას, როცა ქვეყანა რაიმე განსაცდელის წინაშე იდგა.

ამიტომ მის შესახებ ძალიან ბევრი ითქმება და ძალიან ბევრი დაიწერება: როგორც მწერლის, როგორც პოლიტიკური მოაზროვნის და როგორც სახელმწიფო მოღვაწის შესახებ. ამის დრო მოვა. ახლა კი, მისი გარდაცვალების ამ პირველი წლის თავის აღსანიშნავათ მე მინდა სული ზერელედ თვალი გადავავლო მის სულიერ მემკვიდრეობას და თქვენთან ერთად გავიხსენო ზოგიერთი მომენტები მისი ხანგძლივი მოღვაწეობის.

***

**ნოე ჟორდანია** შევიდა ქართველი ერის ისტორიაში, და ამიერიდან ისტორია იქნება პირუთვნელი მსაჯული მისი ხანგძლივი მოღვაწე-

---

*) სიტყვა კ. კანდელაკის, მისი ავათმყოფობის გამო, შემოკლებით წაკითხული ბ. ლ. ფაღავას მიერ ნ. ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ გამართულ სამგლოვიარო კრებაზე პარიზში, 17 იანვარს 1954 წ.

ობის, **ისტორია იტყვის თავისას.** ჩემი სიტყვის საგანი კი არის მოგონება და არა დაფასება ნოე ჟორდანიას მოღვაწეობის. მომავალი თაობა უფრო მიუდგომლად გაერკვევა იმ საგანში, რომლის მომქმედნი პირნი ჩვენ თვითონ ვართ, ჩვენი დღევანდელი თაობა. ხოლო ამ გარემოებამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს მაინც, რომ ჩვენც ვთქვათ ჩვენი სიტყვა ამ დიდი ადამიანის საუკუნოთ განშორების გამო და მით შეიძლება გაუადვილოთ ჩვენს მომავალ თაობას წარსული ამბების გაგება და დაფასება.

**საით მიყავდა ჩვენი ხალხი მის აზროვნებას და სად მიიყვანა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობამ მისი პოლიტიკური თანამოაზრენი და საერთოდ ქართველი ხალხი?**

ბევრის, რა თქმა უნდა, თავისი აზრი უკვე აქვს შემუშავებული ამის შესახებ. ამისათვის ის, რასაც მე მოგახსენებთ, გახსენება იქნება წარსულის; სხვებისათვის კი გაგონება და გარკვევა განსვენებულის საქმიანობაში

***

ნოე ჟორდანია უწინარეს ყოვლისა **მწერალი** იყო, პუბლიცისტი, ხოლო თავისი სამწერლო მოღვაწეობა მას არ დაუწყია, როგორც მოხალისე-ჟურნალისტს, ხან ერთ საგანზე რომ შეაჩერებს მკითხველის ყურადღებას და ხან მეორეზე, როგორც მას მოესურვება ან როგორც გარემოება მკითხველისათვის საინტერესო ამბავს მას ხელში ჩაუგდებს. ნოე ჟორდანიამ თავისი სამწერლო მოღვაწეობა სრულიად გარკვეულ **პროგრამით** დაიწყო და ამ პროგრამას მიყვებოდა იგი, თითქოს მოწოდებული საზოგადოების ამ პროგრამის თანახმად გარდასაქმნელად.

ნოე ჟორდანიას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროის, საქართველოს **ინტელექტუალური** ცხოვრება საკმარისად განვითარებული იყო და ქართულ მწერლობაში ჩვენ ვხედავთ არა ერთსა და ორს პიროვნებას, თავის კალმით ყოველ განათლებულ ქვეყნის ლიტერატურას და პრესას რომ დაამშვენებდენ.

და აი ამ უკვე არსებულ მწერლობაში, ნოე ჟორდანიამ სხვებისაგან განსხვავებული და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. რატომ?

იმიტომ, რომ თუმცა ჩვენში მწერლობა დიდიხანაც არსებობდა და ამისთვის საკმარისად მომზადებული კადრებიც იყვნენ, მაგრამ... აქ თვითონ ნოე ჟორდანია ვალაპარაკოთ:

„იმ დროს — ამბობს იგი — ქართულ სა-
„ზოგადოებაში ისე, როგორც მთელ რუსეთ-
„ში, გაბატონებული იყო ერთი ძირითადი
„აზროვნება საზოგადოებრივი ხასიათის ყვე-
„ლა მიმდევართა შორის. მათი აზრით ხალ-
„ხის სვე-ბედის გამჭედი, მისი საუკეთესო
„მერმისისკენ წამყვანი არის არა თვითონ ხა-
„ლხი, არამედ მაღლა მდგომი გონიერი ადა-
„მიანები, მეთაურობის როლში მოწოდებუ-
„ლნი... ქართველი მოღვაწენიც ამ ცნებას
„მისდევდნენ, ქართველი ინტელიგენცია ამ
„კალაპოტში იღწვოდა... რასაკვირველია,
„ამათ შორის იყო განსხვავება, კამათი და
„უთანხმოება, მაგრამ ყველა ეს კალაპოტის
„შიგნით, საერთო აზროვნების ფარგლებში...
„ამ მდგომარეობამ დაბადა სრული საზოგა-
„დოებრივი უმწეობა, ხალხის გულგრილობა,
„ინტელიგენციის თავისივე წვენში ხარშვა.
„ნიადაგი მეტად ვიწრო, ასპარეზი მოდუნე-
„ბული, აზროვნება დაბორკილი, ნებისყოფა
„და გამბედაობა მილეული... ამ მდგომარეო-
„ბას ესაჭიროებოდა ერთი მაგარი შენძრევა, მა-
„ზე იერიშის მიტანა. მაგრამ როგორ, რა
„ძალით, რა საშუალებით?“...

და აი ამ საშუალებას ნოე ჟორდანია ხედავდა ქვეყნის ეკონომიურად და სოციალურად განვითარებაში, ქვეყნის ამ მიმართულებით გარდაქმნაში

ქვეყნის ეკონომიურად განვითარებაზე, რასაკვირველია, სხვებიც ფიქრობდენ, მაგრამ ისინი ვერ აგნებდენ იმ დასაყრდნობ ძალას, რომელიც მათი მოქმედების გამოსავალ წერტილად უნდა განხდარიყო და რომელიც იმავე დროს თანამედროვე ეკონომიური განვითარების თანდართული და აუცილებელი ელემენტი იყო.

ამ საშუალებას ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრენი საზოგადოების ახლად შექმნილ ურთიერთობაში და ახლად აღორძინებულ სოციალურ კლასებში ხედავდენ. ასეთ კლასებად მათ მიაჩნდათ ახლა: ბურჟუაზია და მშრომელი ხალხი. ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრენი, ცნობდენ—რა ამ ორ კლასს პროგრესიულ მოვლენად, თავის მოქმედებაში მშრომელ კლასებს ეყრდნობოდენ. რაც შეეხება ბურჟუაზიას, ამ კლასს იმ დროს ჩვენში იდეური ხელმძღვანელი არ აღმოაჩნდა; დავუმატებ კიდეც — არსებობდა ეს კლასი ჩვენში და სასარგებლო იყო თუ არა ბურჟუაზიის აღორძინება და განვითარება ჩვენში.

ამათი, ახალი კლასების, „თვითცნობიერება, — ამბობს ნოე ჟორდანია, — ამათი ამოძრავება და საზოგადო ასპარეზზე გამოყვანა იძლეოდა საშვალებას ქართველი ერის გაყინული წერტილიდან დაძვრისას. მიჯაჭვული კლდისაგან მის ასაწყვეტათ“ (ნ. ჟორდანიას „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, გამოც. პარიზში 1937 წ., გვ. 6-8).

**სახელდობ, რა დანიშნულებას უსახავდა ჩვენს საზოგადოებას სამოქმედოთ და რა ნაკლს აქცევდა უმთავრეს ყურადღებას ნოე ჟორდანია იმ დროინდელ საქართველოს სინამდვილეში?**

ამის პასუხი მან მოგვცა სწორედ ამ 60 წლის წინათ, სახელდობ 1894 წელს გამოქვეყნებულ წერილში. ეს წერილი, რომელიც შემდეგ გადაიქცა „**სამოქმედო პროგრამათ** მისთვის და მისი თანამოაზრეებისთვის ჩვენში, ყველასთვის ცნობილია; მას ეწოდება სახელათ „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ და ჟურნალ „მოამბეში“ იყო იგი პირველათ დაბეჭდილი. ამნაირათ, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანე აღნიშნავს, რომ თავისი პირველი საპასუხისმგებლო წერილი, **წერილი საპროგრამო,** ნოე ჟორდანიამ დაუკავშირა ეროვნულ საკითხს, იმდენათ ეს საკითხი მას მიაჩნდა ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანათ: ეკონომიური წარმატება და ეროვნება. აქ მან აღნიშნა **ერი, ეროვნება,** როგორც მიზანი საზოგადოებრივი საქმიანობის, ხოლო **ეკონომიური წარმატება,** როგორც საშვალება ერის განვითარებისთვის.

* * *

რა დედა-აზრი იყო გამოთქმული და მიყვებოდა ავტორი შემდეგში, თავის პრაქტიკულ საქმიანობაში, იქ გამოთქმულ აზრებს, თუ არა?

ნოე ჟორდანია გამოდის ამ წერილში, როგორც გარკვეული პოლიტიკური მოაზროვნე. უდიდეს ნაკლს, ჩვენი ეროვნულ წარმატების დამაბრკოლებელს, იგი ხედავს ჩვენს დანაწილებაში, საქართველოს და ქართველი ერის დაქსაქსულობაში; ეს დაქსაქსულობა ჩვენს ისტორიას თან დაჰყვა და დაჰყვა ისეთ ნაირათ — ამბობს იგი — რომ „მხოლოდ ისეთ მშრომელ, მხნე და გამჭრიახ მეფეთ, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი“, შესძლეს საქართველოს გაერთიანება და ისიც დროებით.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტის დასაწყისში კი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში გარეშე „საპოლიტიკო ძალა“, დაარსდა ახალი მმართველობა „და აი აქ — ამბობს იგი — ტყდება ჩვენი ცხოვრება. აქ ვაკეთებთ ისტორიულ ნახტომს და ბუნებრივ თავისებურებით ზრდის მაგიერ, ჩვენ ვითარდებით უნიადაგოთ, უთავბოლოთ, უწესრიგოთ“-ო (იქვე, გვ. 32-33).

სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? **ერის გაერთიანებაში.** ხოლო ერის პოლიტიკურათ გაერთიანების საფუძვლათ მას ერის **ნივთიერათ** გაერთიანება მიაჩნია (გვ. 22): „ერი გაერთიანებული ნივთიერათ, გაერთიანებულია იდეებითაც“ — ქადაგებს იგი (გვ. 18).

„თავისუფლება ერისა, განვითარება თანახ-
„მათ მისი განსაკუთრებული პირობებისა —
„აი რა დასკვნას მიადგა ისტორიული მიმდი-
„ნარეობა. თუ კი დღეს ეს დედა-პრინციპი
„ზოგიერთ ალაგას და ფეხ-ქვეშ ითელება,
„ეს მხოლოდ წარმავალია და დროებითი. კა-
**„ცობრიობა ვერ ასცდება ერთა თავისუფლე-
ბას“** (გვ. 15).

„კაცობრიობა ვერ ასცდება ერთა თავისუფლებას“-ო! უფრო ნათლათ და უფრო სხარტლათ პასუხის გაცემა მათთვის, ვინც ეროვნულ საკითხს აბუჩად იგდებდა შეუძლებელი იყო.

და თუ პირველ პლანზე ნოე ჟორდანია ქვეყნის ეკონომიური წარმატებას აყენებდა, ეს — მისი შეხედულებით — საუკეთესო საშვალება იყო საზოგადოების გაერთიანებისთვის, იმის ერათ გადაქცევისთვის; ხოლო ერს, **ნაციას,** აკუთვნებდა იგი მომავალს კაცობრიობის წყობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესოთ დალაგებაში.

**მერე როგორ, რა საშვალებით შეიძლებოდა ამისთვის ნაყოფიერათ მუშაობა?**

საზოგადოების შეკავშირება და ამ შეკავშირებული ხალხის ამოძრავება ადვილი საქმე არ იყო იმ დროს, იმ საერთო გულგრილობის ატმოსფერაში და იმ უმძიმეს პოლიტიკურ და პოლიციურ პირობებში მაშინ რომ არსებობდა. აქედან გამომდინარეობდა ძირითადი ხაზი მისი პოლიტიკური საქმიანობის, მისი პოლიტიკური ყოფაქცევის, სახელდობ: **ტაქტიკა.** ტაქტიკა მიაჩნდა ნოე ჟორდანიას პოლიტიკური საქმიანობის უდიდეს მნიშვნელობის საგნად. ამ აზრს ადგა იგი, როგორც ნაციონალურ, ისე სხვა პოლიტიკურ საკითხებში:

„მთავარი იყო არა თეორია — სწერს იგი შემდეგ, იმ დროის მოსაგონებლათ — არა სა-

ტყვა, არამედ პრაქტიკა, საქმე; ხოლო საქმე იგი ნიშნავდა ბრძოლის დროშის აფრიალებას. სრულიად ბუნებრივათ შემდეგ მუშაობაში ზოგი საკითხი ჩრდილში დადგა, ზოგი წინა რიგებში, იმის და გვარად, თუ ხალხის ფსიქოლოგიას, რომელი უფრო ეწყობოდა. ეს იყო, რასაკვირველია, ამოცანა **ტაქტიკის** და არა პრინციპის და პროგრამის. რაკი ხალხი ერთხელ დაიძროდა და ბრძოლის ველზე დადგებოდა, მთელი პროგრამის დაყენება შეუცვლელათ ადვილი გახდებოდა. ამ რწმენით მივდიოდით,—ამბობს იგი,—საპროგრამო უთანხმოებას სატაქტიკო თანხმობას ვანაცვალებდით“-ო (გვ. 9).

ამნაირათ პრინციპიალური განსხვავება — მე ვამბობ **პრინციპიალური განსხვავება** — ნაციონალურ საკითხში ნ. ჟორდანიასა და მის თანამოაზრეების, ერთის მხრით, და ქართულ საზოგადოებრივი აზრის ზოგ სხვა მიმართულებათა შორის, მეორე მხრით, არსებითად არ ყოფილა იმდენი, რამდენათ ეს განსხვავება ხან-და-ხან ხელოვნურათ გაზვიადებული იყო.

1917 და 1918 წლების იმ რევოლიუციონურ გრიგალში, როცა ამ საკითხის პრაქტიკულათ დაყენების დრო დადგა, ნოე ჟორდანიას **ტაქტიკა** გაზიარებული იყო საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების მიერ, სახელდობრ: ჯერ ეროვნულ ყრილობაზე 1917 წლის ნოემბერში, როცა ნოე ჟორდანია ყველა პოლიტიკურ პარტიების სახელით მეტად ზომიერ ეროვნულ პროგრამას აყენებს, რათა ხალხი ავანტიურაში არ გადავარდნილიყო, და, მეორეჯერ როცა სულ რამოდენიმე თვის შემდეგ, იგივე ნოე ჟორდანია, 1918 წლის 26 მაისს, იმავე პარტიების სახელით და ერთსულოვნათ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას აცხადებს. ცხადია, რომ საქმე აშკარათ შეეხებოდა ორივე შემთხვევაში არა პრინციპების დაცვას მხოლოდ, არამედ ტაქტიკას. **მომენტის შერჩევას, ისეთ რევოლიუციონურ აქტისთვის, როგორიც იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება.**

* * *

ნოე ჟორდანიას საჭიროთ მიაჩნდა, რათა მის მიერ წამოყენებულ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკური პროგრამის განსახორციელებლათ, ჩვენი ხალხი იმ გზას გაყოლოდა, რომელსაც ევროპის დემოკრატიული ქვეყნები მიყვებოდენ. ამისთვის ნაყოფიერათ მუშაობდა მისი კალამი: რისი თქმაც მას პირდაპირ არ შეეძლო პოლიტიკურ პირობების გამო, იქ იგი ევროპის ცხოვრებიდან მოყვანილ მაგალითებს ალაპარაკებდა. გადაათვალიერეთ მისი, დღესაც ძალიან საინტერესო კორესპონდენციები გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ინგლისიდან, იტალიიდან და განსაკუთრებით საფრანგეთიდან, რომლის კულტურის და ისტორიის დიდი პატივისმცემელი იგი იყო და დარჩა ცხოვრების მიწურულამდის, და თქვენ დარწმუნდებით, თუ საით ედგა იმას გული და რა იდეებს უნერგავდა იგი ჩვენს ხალხს

საერთოდ, საიდანაც და რაზედაც უნდა ეწერა იმას, მისი წერილი მუდამ მებრძოლ პოლიტიკურ ხასიათის ელფერს ატარებდა და მუდამ პოლიტიკური დასკვნით თავდებოდა იგი. ნება მომეცით ამის მაგალითი მოგიყვანოთ. თავის კორესპონდენციებში, მაგალითად, საფრანგეთიდან იგი აგვიწერს პარიზს. ჩვენ ყველას ბევრი აღწერილობა წაგვიკითხავს პარიზის და გამოჩენილი მწერლების მიერ დაწერილი. ყველას უყვარს პარიზი, ნოე ჟორდანიაც მისი დიდი მოტრფიალეა; მაგრამ არა იმისთვის უმთავრესად, რისთვისაც ყველა სხვები; მას აქაც, რაღაც თავის ქვეყნისთვის სასარგებლო და საინტერესო უნდა გამონახოს და იგი ჩვენს ხალხს დაანახოს.

რა არის პარიზი, კითხულობს იგი *) და ასე მიუგებს:

„პარიზი არის ფხიზელი დარაჯი საფრანგე-
„თის სახელის, ერთიანობის, თავისუფლების...
„და ამ მოვალეობას იგი სამაგალითოთ ას-
„რულებს. პარიჟი ღაღადებს ხალხის თავის-
„უფლებისთვის და როცა ხედავს, რომ სიტ-
„ყვა აღარ სჭრის, ხმალს იშველიებს... პარიჟს
„სურს სუფევდეს თავისუფლება, როგორც
„შინ, ისე გარეთ, თავისუფლება, სამართლია-
„ნობა... მისი დევიზია: ადამიანთა თავისუფ-
„ლება. პარიჟი ამით ამაყობს. არ მართებს—
„თუ? როცა პარიჟელი ორატორი დაიძახებს
„ტრიბუნიდან გაუმარჯოს პარიჟსო, გული
„სიხარულით მევსება, მისი სიტყვა ელექტ-
„რონის ნაკადულივით დაიარს ტანში, და ეს
„იმიტომ, რომ პარიჟი დღეგრძელია, ჩვენი,
„დაჩაგრულთა დღეგრძელობაა, პარიჟის სი-
„ცოცხლე ჩვენი სიცოცხლისათვის მოწოდე-
„ბაა“... (ნ. ჟორდანიას ნაწერები, ტომი მე-
ორე, გვ. 98-100).

---

*) საქმე ეხება 1805 წლის პარიზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოდით ახლა ამ პარნასიდან, ამ შეიძლება ითქვას პოეზიიდან, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და მის ნაწერებში თქვენ დაინახავთ ჩვენი საკუთარი ცხოვრების პროზას, მის მუდმივ ზრუნვას ერის გაერთიანებისათვის, მის ზრუნვას ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად წარმატებისთვის და იმ დაბრკოლებებს, რომელნიც ამ ნიადაგზე ჩვენს ხალხს წინ ეღობებოდენ. გადაიკითხეთ, მაგალითად, მისი წერილები რაფიელ ერისთავის იუბილეის გამო დაწერილი („მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“), თქვენ იქ იპოვით არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის დახასიათებას, არამედ დახასიათებას — ძალიან საინტერესოს — ჩვენი მობინადრე ხალხებისას: ქართველებისას, სომხებისას, რუსებისას და ევროპიელებისას (იქვე, 158-230 გვ.) და მათ დამოკიდებულებას ჩვენთან, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წარმატების საქმესთან, დახასიათებას ბევრჯელ ახლაც საინტერესოს. **ასეთი იყო ხასიათი მისი ნაწერებისა.**

***

ნოე ჟორდანია **რევოლუციონერი იყო;** მაგრამ, როგორც რევოლუციონერმა — **დემოკრატმა** მან პირველმა აღიმაღლა ხმა რუსეთის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, როგორც **უდიდეს რეაქციის** წინააღმდეგ; მან პირველმა ამხილა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც განმაგრძელებელი **რუსეთის იმპერიალიზმის...** თქვენ იცით, რომ ეს მაშინ ბევრს არ სჯეროდა.

ნოე ჟორდანია იბრძოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მაშინ, როცა ბოლშევიკები რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ფრაქციას წარმოადგენდენ; იბრძოდა 1917 წლის რევოლუციის დროს, როცა ისინი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას ცდილობდენ; იბრძოდა **წინათ,** როგორც საზოგადოთ დემოკრატიის მტრის წინააღმდეგ და **შემდეგ,** როგორც რუსეთის იმპერიალიზმის განსახიერების წინააღმდეგ, ცარიზმის დაცემის შემდეგ. იბრძოდა მუდამ, რადგან ძალიან კარგათ იცნობდა ბოლშევიზმის ბუნებას.

იმ მრავალ ნაწერებში, ამ დიდი ხნის განმავლობაში ბოლშევიზმის შესახებ რომ გამოიცა, მე მაგონდება ამ ჟამათ ორი ავტორი. ორივემ ბოლშევიზმის განვითარების პირველ ხანებშივე გამოსთქვეს თავისი შეხედულება იმაზედ; ორივე ავტორი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი იყვენ; ორივე კარგად იცნობდენ რუსეთს და ორივენი ბოლშევიზმის მოწინააღმდეგენი იყვენ. ერთი იმათგანი — ჩეხოსლოვაკის პრეზიდენტი **ტომას მასარიკია.** მეორე — ნოე ჟორდანია (სხვათა შორის, ამის წიგნი „ბოლშევიზმი“). გადაიკითხეთ აბა ეს მათი ნაწერები ბოლშევიზმის შესახებ და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად უფრო ღრმათ და საფუძვლიანათ ეხება — ჯერ კიდევ იმ დროს „ნოე ჟორდანია ბოლშევიზმის ნამდვილ ბუნებას და იმის წარმოშობ მიზეზებს და ნიადაგს. მასარიკი მასავით შორს არ მიდის, მაგრამ იგი მაინც მთელ მსოფლიოში ცნობილი იყო, როგორც დიდი დემოკრატიული სახელმწიფო მოღვაწე და მის აზრს მეტ ანგარიშს უწევდენ.

შეიძლება იმიტომ, რომ იგი წარმოადგენდა ევროპაში მობინადრე ხალხს, ჟორდანია კი ქვეყანას, აზიის კარებთან მდებარეს?

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა არა ერთხელ ყოფილა სათავე ჩვენი მივიწყების და ბევრჯელ ჩვენი უბედურებისაც!.. 1

ნოე ჟორდანია კარგათ იცნობდა ბოლშევიზმს, ისე კარგათ, რომ იმ ხანათ, როცა ბევრი ევროპიელი დიდი პოლიტიკოსები ამ მოვლენას ძალიან ლმობიერათ უყურებდა, იგი არ დაერიდა საჯაროთ ეთქვა:

„მე მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიზმს **დასავლეთის იმპერიალიზმი-“-ო.**

და ამ რამოდენიმე სიტყვაში მან გამოსთქვა მთელი ფილოსოფია თავისი კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციის: აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისკენ.

გადაათვალიერეთ ნოე ჟორდანიას ნაწერები ამ სამოცი წლის განმავლობაში და თქვენ დაინახავთ, რომ 9/10 მის მიერ მოყვანილ ცნობების, ციტატების, ისტორიულ ამბების მოყვანილია ევროპის ქვეყნების ცხოვრებიდან და არა რუსეთიდან.

ევროპის ქვეყნების წეს-წყობილებისა და კულტურისკენ ორიენტაციამ — რომელსაც ქადაგებდენ ჩვენში, რა თქმა უნდა სხვებიც და არა მარტო ნოე ჟორდანია — ხელი შეუწყო, რათა ჩვენი ხალხი მისულიყო ლოღიკურ დასკვნამდის: იგი თვით გამოერკვა და რუსეთის საზღვრებში ყოფნას დამოუკიდებლათ ყოფნა ამჯობინა.

ქართველი ერის ამ უდავო უფლების რეალიზაციამ ჩვენ დაგვიკარგა მეგობრული განწყობილება რუსის სლავიანოფილური ინტელიგენციის, მაგრამ შეგვძინა სიმპატია დასავლეთის დე-

მოკრატიის და დაგვაახლოვა იმ იდეალებს, რომლის მატარებელი ქართველი ხალხი მუდამ იყო, ისტორიულათ.

* * *

მე ვსთქვი, რომ ნოე ჟორდანია რევოლიუციონური მოღვაწე იყო. თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი, 1917 წლის რევოლიუციამდის, მან არალეგალურ თუ ნახევრათ არა-ლეგალურ ცხოვრების პირობებში გაატარა.

ხოლო რევოლიუცია მას არ ესმოდა, როგორც უბრალო ძალადატანება უმცირესობისა უმრავლესობაზე, უხეში ძალით დანგრევა არსებულ წყობილების ისე, რომ ახალი წესების დამყარება მოსახერხებელი არ ყოფილიყო. რევოლიუცია, მისი შეხედულებით, უნდა შეეფერებოდეს საზოგადოების ეკონომიურათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ განვითარების დონეს, და კანონით, კანონმდებლობის წესით უმრავლესობის ნება უნდა იქმნეს ცხოვრებაში გატარებული.

იმ მეტად აბობოქრებულ ხანაში, 1917 წლის თებერვლის რევოლიუციას რომ მოყვა. როცა სახალხო და საჯარო გამოსვლებში მონაწილეობას იღებდენ არა მხოლოდ მუშები და გლეხები, საზოგადოების ფართო წრეები, არამედ ჯარიც — ჯარისკაცები ხიშტით ხელში და ზარბაზნებით ყოველ გზა - ჯვარედინზე — ამ არეულ და აბობოქრებულ პირობებში და ამ თავაშვებულ ბრბოების წინაშე, ნოე ჟორდანია არ ერიდებოდა თავის ზომიერ შეხედულებით გამოსულიყო და თავისი ზომიერი რეზოლიუციები მიეღებინებია რევოლიუციონური ორგანიზაციებისათვის, ყოველ შემთხვევაში კავკასიის მასშტაბით. **არასოდეს**, და არც რევოლიუციის ხანაში, ნოე ჟორდანია **დემაგოგი არ ყოფილა.**

1917 წლის თებერვლის რევოლიუციიდან იწყება მისი ფართო პოლიტიკური მოღვაწეობა. **როგორი იყო ამ მოღვაწეობის მთავარი ხაზები?**

ისტორიის კარგი მცოდნე, იგი თავის მოხსენებებში სულ ხშირად 1789 და 1848 წლების რევოლიუციებს ემყარებოდა. ის ფიქრობდა, რომ რუსეთის ეგრეთ წოდებული თებერვლის რევოლიუცია საზოგადოების ორი კლასის სასარგებლოთ ხდებოდა, ყოველგან, ძველი იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში: **მუშათა კლასის და ბურჟუაზიის სასარგებლოთ.** ორივე ეს კლასი დაინტერესებული იყო — რევოლიუციის გამარჯვებაში. ამიტომ რევოლიუციის გამარჯვების მიზანი მოითხოვდა, რომ თავის გადამეტებულ მოთხოვნილებებით მუშათა კლასს ბურჟუაზია არ დაეშინებია და თავის მხრივ ბურჟუაზიას მუშათა აუცილებელი მოთხოვნილებანი უნდა ეცნო და მუშათა კლასი — რევოლიუციის ეს ხერხემალი — ამ რევოლიუციის ხანაში ბურჟუაზიისთვის არ დაეპირისპირებია.

ნოე ჟორდანიას რევოლიუციის არ ეშინოდა; მას ეშინოდა **ანარქიის**, რადგან იცოდა, რომ ანარქიას რეაქცია მოჰყვებოდა, აუცილებლათ. და, როცა რუსეთში აბობოქრებული მასები სოციალისტურ ლოზუნგების დღის წესრიგში დაყენებას არ ერიდებოდენ, იგი აშკარათ აღიარებდა, რომ რუსეთის ეკონომიური და კულტურულ განვითარების დონე ასეთ მოთხოვნილებებს ვერ აიტანდა და ვერ შეეგუებოდა.

ასეთი იყო იმის შეხედულება იმაზედ, რასაც იმ დროს „რევოლიუციის მონაპოვარს“ უწოდებდენ ხოლმე. მისი ხაზი იყო: **სიფხიზლე და ზომიერება.**

ამისთვის, და ყოველ შემთხვევაში დამფუძნებელ კრების მოწვევამდის, მისი აზრით, დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ აუცილებელი მოთხოვნილებანი არა მარტო პოლიტიკური სფეროში, არამედ სოციალურ-ეკონომიურში და ნაციონალურში.

ამით, ზომიერების ასეთ ტაქტიკით, აიხსნება, სხვათა შორის, როგორც ვსთქვი კიდეც, ის გარემოება, რომ 1917 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, ნოე ჟორდანია საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების სახელით, ძალიან ზომიერ მოთხოვნილებებით გამოდის ნაციონალური საკითხებში და ამავე დროს მთელი ყრილობა მას ოვაციას უმართავს, თუმცა არავის უფიქრია, რომ აქ წამოყენებულ მეტად ზომიერი მოთხოვნილებებით ამოიწურებოდა საქართველოს ეროვნული საკითხი.

თუ ნოე ჟორდანია პოლიტიკაში უმთავრეს ყურადღებას მუდამ ტაქტიკას აქცევდა, ამ შემთხვევაში მისი ტაქტიკის ხაზი ჩვენში ყველა პარტიებმა და მთელმა ხალხმა გაიზიარა.

მას ეშინოდა რევოლიუციის დამარცხების და რეაქციის გაბატონების და ფიქრობდა, რომ ეს მოსალოდნელი იყო. სხვათა შორის, თუ რუსეთში მობინავე ხალხთა შორის დავას და უთანხმოებას, ექნებოდა ადგილი, ამისთვის იგი მომხრე იყო ჩვენ მეზობლებთან ძალიან ლოიალურ

განწყობილების და საქართველოს ყველა პოლიტიკური მოღვაწეებთან ერთად — ამ საკითხში არავითარი განსხვავება მათ შორის არ ყოფილა — სულ უკანასკნელ წუთამდის ცდილობდა, რომ კავკასიის პოლიტიკაში მთლიანობა არ დარღვეულიყო.

რამდენათ მომხრე იყო იგი ამ მხრივ იმ მეზობლების მიმართაც, რომელნიც ხელმძღვანელ წრეებს სხვებზე მეტათ ეტყობოდათ ორიენტაცია უცხო ქვეყანაზე; ნოე ჟორდანიამ გამოსთქვა სხვათა შორის, თავის სიტყვაში ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომაზე 1918 წლის 22 თებერვალს: თქვენ იცით — განაცხადა მან სეიმში, — რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამიერ-კავკასიაში არის მუსულმანობა. მუსულმანთა გარეშე, გარეშე მათი თანხმობისა და დახმარებისა, ჩვენ არც ომის წარმოება შეგვიძლია, არც საპატიო ზავის ჩამოგდება; ეს ყველასათვის ცხადი და გარკვეული უნდა იყოს... თუ შესაძლებელია არსებობდეს ქრისტიანული ორიენტაცია, რატომ არ შეიძლება არსებობდეს მუსულმანური ორიენტაცია... ხოლო, ჩვენ უნდა გაგვიერთიანოს არა ხმალმა, არამედ თავისუფლებამ, აზრთა თავისუფლებამ (იქვე, გვ. 75).

ნოე ჟორდანიას ავტორიტეტი, სახელი და გავლენა კავკასიის ერებში დიდ იყო ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ნოე ჟორდანია არა-ლეგალურათ მუშაობდა. ეს კავკასიის ადმინისტრაციამაც კარგათ იცოდა. ამისათვის რევოლიუციონური გადატრიალების მეორე დღესვე კავკასიის ნამესტნიკმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზისძემ — რევოლიუციით დაშინებულმა — კავკასიაში წეს-რიგის დაცვის მიზნით, მოიწვია სწორეთ ნოე ჟორდანია, როგორც ყველაზე უფრო ავტორიტეტული და გავლენიანი პირი მთელ კავკასიის რევოლიუციონურათ განწყობილ ხალხებში და ხელისუფლება **ფაქტიურათ** მას ჩააბარა... ნოე ჟორდანიას ავტორიტეტი დიდი იყო ამიერ-კავკასიის ხალხებში, როცა ერთად ვიმყოფებოდით, და მაშინაც, როც ნაციონალურ ერთეულებათ დავიყავით.

**
*

ნოე ჟორდანია **სოციალისტი** იყო; მას სწამდა, რომ მომავალში ქვეყნათ სოციალიზმი დამყარდებოდა; ხოლო, როგორც დემოკრატი, იგი ფიქრობდა, რომ საზოგადოება სოციალიზმისკენ დემოკრატიის გზით უნდა წასულიყო და არა ძალდატანებით.

იგი ამბობდა (იხ. „დემოკრატია და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია"): მოსახლეობა დაყოფილია კლასებათ და თითოეული კლასი ცდილობს, რომ სახელმწიფო თავის სასარგებლოთ და თავის მიზნებისთვის გამოიყენოს. მუშათა კლასიც ასე უყურებს სახელმწიფოს.

მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ რაკი ხელისუფლება ჩვენს ხელშია, სოციალისტების ხელში, იქნება, ჩვენ შეგვიძლია სოციალიზმი განვახორციელოთ საქართველოში? სრულიადაც არა. სოციალიზმს ჩვენ ვუყურებთ—ამბობდა იგი—როგორც ისტორიულ **პერსპექტივას** და არა როგორც უბრალო პრაქტიკულ ამოცანას... ჩვენი მისწრაფება სოციალიზმია, საზოგადოების სოციალისტური პრინციპებზე გარდაქმნა; მაგრამ მივისწრაფით-რა ამ მიზნისკენ, ჩვენ უნდა გავიაროთ აუცილებელი ეკონომიური - პოლიტიკური ეტაპები, რომელთაც ვერც გადავახტებით და ისტორიულ აუცილებლობის გამო, ვერც გვერდს ავუვლით. ეს ეტაპებია: ძველი რეჟიმის დამხობა და საზოგადოების დემოკრატიულ რეჟიმში შეყვანა... ბოლშევიკები — ამბობდა იგი — ფიქრობენ, რომ სახელმწიფო ყველაფრის შემძლეა და რა მიზანიც უნდა დავუსახოთ მას, იგი იმას განახორციელებს. აი ამ განსხვავებამ, ამ მოთხოვნილებამ, ერთის მხრით, რომელიც წაუყენეს რუსეთის სახელმწიფოს მისმა პატრონებმა, ბოლშევიკებმა, და, მეორე მხრით, იმის განხორციელების შეუძლებლობამ, გამოიწვია სახელმწიფოს დანგრევა და საუკუნოებით დაგროვილ სიმდიდრის გაფლანგვა... უეჭველია, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველა სახელმწიფო ასე თუ ისე ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება. ამას ვერასგზით ვერც საქართველოს სახელმწიფო ასცდება" (ნ. ჟორდანია—მოხსენებები და სიტყვები „За два года", გვ. 111-112, ქართული ტექსტის უქონლობის გამო).

ასეთი თანდათანობის მომხრე იყო იგი სოციალიზმისთვის მუშაობაში და ამ გზით სოციალიზმის განხორციელება ქვეყნათ მას სწამდა.

**
*

ნოე ჟორდანიას შიში, რომ რუსეთის რევოლიუცია დამფუძნებელ კრებამდის ვერ მიაღწევდა, გამართლდა. **დამფუძნებელი კრება ბოლშევიკებმა გარეკეს.**

ეს ისეთი დიდი ამბავი იყო, ისეთი დროის და

ისეთ პირობებში მომხდარი, რომ მას არ შეეძლო უდიდესი გავლენა არ მოეხდინა ყველა სხვა მოვლენათა სწრაფ მსვლელობაზე. **რუსეთი ჩვენგან წავიდა.** ამით მოიხსნა **ტაქტიკის ის საკითხი,** რომელიც ასი წლის განმავლობაში უკარნახებდა საქართველოს, რომ ეს პატარა ქვეყანა მარტოთ-მარტო ვერ დატაკებოდა იმ უშველებელ ვეშაპს, რუსეთის იმპერია რომ წარმოადგენდა. ახლა დადგა მომენტი, რომელიც ამაგრებდა ქართველ ხალხს, როგორც ფიზიკურათ, ისე მორალურათ.

ამაგრებდა **ფიზიკურათ** იმიტომ რომ თვითმპყრობლობის ძლიერი აპარატი მოიშალა და ხალხს საშვალება მიეცა თავის აზრის გამოთქმის და, თავის შეხედულების თანახმათ, თავის ცხოვრების მოწყობის.

**მორალურათ** კი ამაგრებდა იმიტომ, რომ თუმცა საქართველოს საერთოდ ლოიალურათ ეჭირა თავი მთელი დიდი ომის განმავლობაში რუსეთის მიმართ, უმძიმეს მომენტში, როცა ოსმალეთის ჯარი საქართველოს და სომხეთის საზღვრებში შემოდიოდა, რუსეთის ჯარი — იმ საზღვრების დასაცავათ მოწოდებული — ოსმალეთის წინაშე იარაღს ყრიდა და თვით საქართველოს დასარბევათ მოდიოდა.

ქართველი ხალხის ფიზიკურათ გადარჩენასთან ერთად, მისი პოლიტიკურ-ნაციონალური უფლებების აღდგენის **უზენაესი მომენტი** დადგა.

და აი აქ მოხდა **სინტეზი** იმ ტაქტიკის, რომელსაც ნოე ჟორდანია ყოველთვის უპირატესობას აძლევდა პოლიტიკაში და საქ. სოც.-დემ. პარტიის, — იმ პარტიის, რომელსაც იგი ეკუთვნოდა,— **პროგრამის** მოთხოვნილებისა ეროვნულ საკითხში, სახელდობრ, ერის თვითგამორკვევის უფლების განაღდების. ამ საკითხის გადასაწყვეტათ ახლაც ყველა პარტიები გაერთიანდნენ.

ეს იყო სინტეზი პრინციპის და პრაქტიკულ გადაწყვეტილების, და არა მხოლოდ ნაციონალურ საკითხში: აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგებში და ყოველგან თანახმათ დემოკრატიულ პრინციპებისა.

***

ნ. ჟორდანია არ იყო **დოქტრინიორი.** ამიტომ მისი შეხედულება საქართველოში ხელის-უფლების მოწყობის შესახებ არ ყოფილა ისეთი, როგორიც იყო იმის შეხედულება რუსეთში დროებითი მთავრობის შესახებ.

„ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა — ამბობდა იგი — ეწყობა სამ დემოკრატიულ კლასის — გლეხთა, წვრილი ბურჟუაზიის და მუშათა სოციალური ბლოკის ნიადაგზე. ასეთ პირობებში **სახელმწიფო დემოკრატიული იქნება ან იგი სრულებით არ იქნება“-ო** (იხ. „За два года“. გვ. 113, ქართული ტექსტის უქონლობის გამო).

ჩვენში, მისი შეხედულობით, საზოგადოებრივი პირობები მზათ იყო დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაწყობათ, როგორიც ასეთი პირობები თავის დროზე არსებობდა შვეიცარიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა ამ ქვეყნებში დემოკრატიული რესპუბლიკები არსდებოდა.

ასეთი შეხედულება ჩვენს ხალხზე და ჩვენში არსებულ საზოგადოებრივ პირობებზე სავსებით გამართლებული იქმნა ქართველი ერის მიერ.

თუ არიან პიროვნებანი, რომელნიც საზოგადოების ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, ერთი ასეთი პიროვნება უსათუოდ იყო განსვენებული ნოე ჟორდანია ჩვენი ერის უკანასკნელი დროის ისტორიაში. მაგრამ, საზოგადოთ, ისტორიას — ანუ ერის აწმყოსა და მომავალს — ჰქმნის თვითონ ხალხი და არა პიროვნებანი.

სამწუხაროთ, დროის სიცოტავე და საგანი ჩემი დღევანდელ სიტყვის მე ნებას არ მაძლევდა შევჩერებულიყავი იმ საზოგადოებრივ მიმართულებათა გარკვევაში, რომელსაც იმ დროის ჩვენი ხალხი წარმოადგენდა, დონეს ჩვენი ხალხის გონებრივათ და სახელმწიფოებრივათ განვითარებისას, მის აქტივობას, ურომლისოთ — თავის თავათაც იგულისხმება — ის იდეები, ნოე ჟორდანია რომ ქადაგებდა, ყრუთ დარჩებოდა, „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

თუ 1917 და 1918 წლების რევოლუცია — ჩვენში მოხდა ყოველივე ანარქიის და არეულობის გარეშე და თუ ჩვენს ქვეყანას **სამოქალაქო ომი არ განუცდია,** აქ პირველი როლი თვით ჩვენ ხალხს ეკუთვნის, მთლიანათ — განურჩევლათ წოდებრივ თუ სოციალური განსხვავებისა — ჩვენი ხალხის შეგნებას და მის უნარს საზოგადოებრივი წესების დაცვისას, მის მიერ ერთხელ კიდევ დამტკიცებულს მის სახელმწიფოებ-

რიგ სიმწიფეს. ყოველივე ამას, ამ პირობებს ერთად აღებულს, ემყარებოდა ნოე ჟორდანიას მწერლობა და პრაქტიკული მოღვაწეობა, **და არა განყენებულ იდეებს.**

დამოუკიდებელ საქართველოს და მის დემოკრატიულ წეს-წყობილებას ყავს, რასაკვირველია, **დამწუნებელი;** ხოლო ვერავინ იტყვის, რომ მის კანონმდებლობას და წესებს არ აჯობა ბევრი დასავლეთ ევროპის დაწინაურებულ ქვეყნების წესების და კანონმდებლობის. კერძოთ **საქართველოს კონსტიტუცია** ანუ იმის ძირითადი კანონები,—რომლის შედგენაში ძალიან აქტიური მონაწილეობა იღებდა განსვენებული ნოე ჟორდანია, მაშინ მთავრობის თავმჯდომარე,—ამის უტყუარი მაგალითია.

ჩვენ გვინდოდა, აზიის მაგიერ ევროპას რომ გადავებმოდით, ამ უკანასკნელის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას, მის კულტურას რომ გავყოლოდით; ჩვენი ხალხი საუკუნოების განმავლობაში ამას ეტრფოდა.

***

დანარჩენი ამბები ჩვენ ყველამ ვიცით. ჩვენ ამ ამბების ან უშუალო მონაწილენი ვართ, ან ისე ახლოს მდგომნი, რომ შეგვიძლია ისინი ჩვენს მეხსიერებაში აღბეჭდილ ფაქტებზე ამოვიკითხოთ. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ნოე ჟორდანია ბოლომდის შერჩა ერთგული მის მიერ აღებულ ხაზს და მიმართულებას. იგი თავის საქმიანობაში არ იყო დოქტრინიორი, მაგრამ არც **ოპორტუნისტი** ყოფილა ამ სიტყვის ვულგარულად გაგებით; და ის, რაც შეიძლება ზოგს ოპორტუნიზმათ ეჩვენებოდა, ხშირად ტაქტიკა იყო მის პრაქტიკულ საქმიანობაში, ტაქტიკა დროისა და მდგომარეობის შესაფერისი. ტაქტიკა, რომლის ნიჭიერი გამტარებელი თვითონ იყო, ყოველგვარ გართულებულ პირობებში. მაგრამ დროებითი ტაქტიკისთვის მას არასოდეს შეუწირავს თავისი პრინციპები, და ეს მას არა ერთხელ დაუმტკიცებია, როდესაც ამ პრინციპების დაცვის საკითხში დამდგარა ხოლმე.

ამ მხრივ საქმე შედარებაზე რომ მიდგეს, გამოჩენილ დემოკრატთა და სოციალისტთა შორის ნოე ჟორდანიას მე პირადათ **ჟან ჟორესს** საფრანგეთის დიდ სოციალისტს და მამულიშვილს უფრო შევადარებდი, ვიდრე სხვას ვისმე თითოეულს იმათგანს, რასაკვირველია, თავის საკუთარი ქვეყნის ფარგლებში. იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც თავის პარტიის **უდავო თეორეტიკოსები იყვნენ;** ჟან ჟორესი, რასაკვირველია, უფრო ფართო საერთაშორისო მასშტაბით; ხოლო ამავე დროს ორივე **პრაქტიკული მოღვაწენიც იყვნენ.** არც ერთი და არც მეორე არ ყოფილა დოქტრინიორი და ცდილობდენ თეორეტიულ დოგმების ყოველდღიურ ცხოვრების სინამდვილესთან შეგუებას და შეთვისებას.

ამისთვის ჟორესს თავის ქვეყანაში ზოგნი „ოპორტიუნისტათ“ სთვლიდენ; მაგრამ ცხოვრების სინამდვილისთვის მას ზურგი არ შეუქცევია და თავის ფილოსოფიის, თავის პოლიტიკურ და სოციალურ იდეალების განხორციელებას რეალური პირობების მიხედვით, თანდათანობით, ფიქრობდა.

ასეთივე იყო ნოე ჟორდანიას მოქმედებაც საქართველოს ფარგლებში. როგორც ჟორესი, ისე არც ჟორდანიას არასოდეს უფიქრია: „თუ ფაქტები თეორიას არ ეთანხმება, მით უარესი ფაქტებისთვის!“-ო. ამის მთქმელნი და ამის აღმასრულებელნი შემდეგ მოვიდნენ; ჩვენ ვიცით მათი ამბავი...

***

32 წელიწადი ნოე ჟორდანიამ ემიგრაციაში გაატარა, მოწყვეტილმა სამშობლოს მხარეს; მაგრამ ამ ხნის განმავლობში მას არც თავისი პოლიტიკური აზროვნება და ხაზი, და არც თავისი აქტივობა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იოტითაც არ შეუცვლია.

ქართველი ერის ხსნას, როგორც დავინახეთ, იგი თავიდანვე ქართველი ერის გაერთიანებაში ხედავდა, იგი ამ ოცნების განხორციელებას ელოდა: ქართველი ერი გაერთიანდა ეროვნულ თავისუფლების ნიადაგზე და დღესაც, გაერთიანებული საერთო უბედურებაში, იგი ერთსულოვანია ეროვნულ თავისუფლების და ეროვნულ დამოუკიდებლობის მოთხოვნაში.

იგი ამისთვის იბრძვის და **იბრძოლებს** სრულ გამარჯვებამდის, იმ იმედით გასხივოსნებული, რომელიც თავიდანვე — უდიდეს და უძნელეს პოლიტიკური რეაქციის ხანაში — აღიარა ნოე ჟორდანიამ, როგორც კანონი გარდაუვალი:

**„კაცობრიობა ვერ ასცდება ერთა თავისუფლებას“...**

კ. კანდელაკი

## ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლისთავი პარიზის ქართულ სათვისტომოში

კვირა, 17 იანვარი, 1954 წელი. სამი საათიდან ნელ-ნელად ივსება ლას-კაზის დარბაზი. 3 საათზე და 30 წუთზე ბ. ევ. გეგეჭკორის ირგვლივ, პრეზიდიუმში, ადგილებს იკავებენ: ბ.ბ. გ. კერესელიძე, შ. აბდუშელიშვილი, კ. სალია, ნ. ურუშაძე, შ. კალანდაძე, ლ. ფალავა. პრეზიდიუმის მაგიდა იატაკამდის დაფარულია ქართული ეროვნული დროშით. მის შუაგულში სამი ფერის ცოცხალი ყვავილების გირლიანდებში ჩასმულია განსვენებულის სურათი. თეთრი, პატრიარქის წვერ-ულვაშით, მაღალი შუბლით, წყნარი, ნიჭიერი თვალებით დაგვყურებს, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მის საპატივცემულოდ შეყრილ თანამემამულეთა კრებულს.

ქართული გუნდი წარმატებით ასრულებს დიდებას, რის შემდეგაც ბატონი ევ. გეგეჭკორი შესავალი სიტყვით მიმართავს საზოგადოებას. მომხსენებელი ხაზს უსვამს 26 მაისის აქტის დიდ მნიშვნელობას ქართველი ერის ისტორიაში, როგორც შინაური ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის ხანმოკლეობას სრულებითაც არ შეუმცირებია ამ აქტის მნიშვნელობა, — ამბობს მომხსენებელი და წარსულიდან მოჰყავს მაგალითი: „ცნობილია, პორტას სახელმწიფომ არ იცნო პოლონეთის სახელმწიფოს განაწილება რუსეთსა და გერმანიას შორის და დიდი ხნის განმავლობაში უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიღებისას პოლონეთის სახელმწიფოს წარმომადგენელსაც ისევე გამოიძახებდენ, თითქოს პოლონეთის სამეფო კვლავ არსებულიყოს. მეორეა საქართველოს მაგალითი: მიუხედავად საბჭოთა რუსეთის ცნობისა, საქართველოს ელჩი ბატონი აკაკი ჩხენკელი საფრანგეთის მთავრობის მიერ ცნობილი და მიღებული იყო თორმეტი წლის განმავლობაში, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენელს შეჰფერის". მომხსენებელი აღნიშნავს ნოე ჟორდანიას უდიდეს როლს ამ აქტის — 26 მაისის — მომზადებაში, განხორციელებაში და ბოლოს მის დაცვაში.

„თუმცა ღრმად მოხუცებული ბუნებრივი სიკვდილით გაგვშორდა, მაგრამ, მაინც, დღევანდელ პირობებში ქართველი ხალხისათვის მეტად მძიმე დანაკლისია ნოე ჟორდანიას სიკვდილი", ამბობს იგი და ახასიათებს რა ქართველი ერის თანამედროვე მდგომარეობას, ასე ამთავრებს: „ქართველი ერის ურყევი ნება თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის არის გარანტია ჩვენი გამარჯვების. მაშ გაუმარჯოს საქართველოს და დიდი იყოს ხსოვნა მისი დიდი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიასი"-ო.

ქალბატონი ძრაგაძე როიალზე ასრულებს შოპენის სამგლოვიარო მარშს.

ბ-ნი კ. კანდელაკის ავადმყოფობის გამო, მის ვრცელ და მეტად შინაარსიან მოხსენებას ნოე ჟორდანიას ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე კითხულობს ბ. ლევან ფალავა (მოხსენების სრული შინაარსი ქვეყნდება ამავე ნომერში).

თეთრი გიორგის მოძრაობის სახელით ბ. კ. სალიამ მეტად შინაარსიანი სიტყვა მიუძღვნა განსვენებულის ხსოვნას. მომხსენებელი განსაკუთრებით ფართოდ შეეხო ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას დევნილობაში: „ნოე ჟორდანია განასახიერებდა უცხოეთში, ამბობს მომხსენებელი, საქართველოს სუვერენულ უფლებებს, მოპოებულს და განმტკიცებულს ზღვად დაღვრილი სისხლით ჩვენ სახელოვან წინაპართა. იგი იცავდა ამ უფლებებს ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. 30 წლის განმავლობაში მას არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა, რომ არ წარედგინა დასაბუთებული მემორანდუმები მთავრობებისათვის, საერთაშორისო კონგრესებისათვის, ჯერ ერთა ლიგისა და შემდეგ გაერთიანებული ერთა ორგანიზაციისათვის და სხვა. სადაც მოითხოვდა საქართველოთგან რუსეთის ჯარის გაყვანას და დამოუკიდებლობის აღდგენას. ხაზგასმით აღსანიშნავია ის, რომ თანამგრძნობთა და მეგობართა ძებნის დროს ნოე ჟორდანია არ ხელმძღვანელობდა მისი მსოფლმხედველობით. არამედ იგი ერთნაირად ეძებდა მოკავშირეებს ყველგან, განურჩევლად ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილებისა და რეჟიმისა. რუსეთის იმპერიალიზმის მტერი ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, მას საქართველოს მეგობრად მიაჩნდა".

შემდეგ მომხსენებელი იგონებს ზოგიერთ პირად შეხვედრებს განსვენებულთან, რაც უფლებას აძლევს დაასკვნას, რომ ქართველი ერის უფლებებისათვის ბრძოლაში ნოე ჟორდანია ბოლომდის მტკიცე დარჩა. და ამ აზრის დასადასტურებლად მომხსენებელი იგონებს 1951 წლის

გადაცემულ მემორანდუმს, სადაც ის სიტყვა-სიტყვით ამბობს:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა იცოდეს საქართველოს ემიგრაციამ და თვით ქართველმა ერმაც, რომ უკანასკნელი დოკუმენტი, რომელზედაც საქართველოს პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას ხელი უწერია და მის მიერ არის შედგენილი არის მემორანდუმი, რომელიც მან გადასცა 1951 წლის ნოემბერში, პარიზში შემდგარ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის საზოგადო კრებას“. კითხულობს რა მემორანდუმის მთავარ ადგილებს მომხსენებელი დაასკვნის:

„ეს მემორანდუმი მრავალ სხვა დოკუმენტთან ერთად დარჩება საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში, როგორც უტყუარი საბუთი იმისა, თუ როგორ კლდესავით იდგა ბოლომდე ნოე ჟორდანია ჩვენი ერის უფლებათა დაცვის საკითხში, ურყევი და უკომპრომისო“.

„მცხოვან პრეზიდენტთან ვიყავი მისი გარდაცვალების ორი დღის წინ. „აგერ 85 წელი მისრულდება, თავს ცუდად არ ვგრძნობ, მაგრამ ვატყობ, საქართველოს ვერ ვნახავ. ბუნების კანონს ვინ წაუვა? აბა, სულ ხომ არ ვიცოცხლებ. ერთი კი ვიცი: ჩემი კუბო იხილავს სამშობლოს. იგი მაგარი გააკეთეთ, რომ დიდხანს გაძლოსო“.

მოხუცს წინაგრძნობა გაუმართლდა. მას არ ეღირსა საქართველოს ხილვა და იგი საფრანგეთის მიწას მიაბარეთ, მაგრამ სული მისი უკვე იქ არის. იგი შეუერთდა სამშობლოს მფარველ ამაყ აჩრდილთ, მთელი მათი მამულიშვილური სიდიადით წამოჭრილთ შორეულ და ახლო წარსულითგან.

ოცდაათი წლის მოწამებრივი გვირგვინით იგი შევიდა იმ ტაძარში, რომელიც 15 საუკუნოვან სიმაღლითგან დაჰყურებს მრავალტანჯულ, მაგრამ შეუპოვარ და ქედმოუხრელ ქართველ ერს, და სადაც დევნილ ქართველთა სულს ყოველთვის უპოვნია უკანასკნელი თავშესაფარი.

„ჩვენს ქვეყანაში დღეს კაცობრიობის მთელ ისტორიაში უუსჯულოესი და უვერაგესი მტერი მძვინვარებს.. მაგრამ არა ერთხელ უგრძვნია ქართველ ერს სიკვდილის ქროლვა უფსკრულის თავზე, არა ერთხელ შეხებია მას სასტიკი ჟამი და მის არსებობას მოსპობით დამუქრებია, ხოლო მისი უკვდავი სული, უხსოვარ დროითგან მომდინარე, ყოველი განსაცდელის დროს ახალი ენერგიით მოვლინებულა და სამშობლო საკვდილისაგან გადაურჩენია.

არც დღეს გასწირავს მას უზენაესი.

იგი დღევანდელ მტერსაც გაუძლებს...

და ერთ დღეს ბათუმის ნავთსადგურს მიადგება გემი და გადმოასვენებს უცხოეთში მწუხრად ნამყოფ ნეშტს ნოე ჟორდანიასი საქართველოს მზით გამთბარ მშობლიურ მიწაზედ, რომელიც სიყვარულით მიიღებს მას და დაუმკვიდრებს საუკუნო განსვენებას“.

საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით ბ-ნმა შ. კალანდაძემ განსვენებული პრეზიდენტის ხსოვნას მიუძღვნა ღრმა პატივისცემით გამთბარი სიტყვა. მომხსენებელი ორ ნაწილად ჰყოფს ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას. პირველ ნაწილში ნოე ჟორდანია ორგანიზატორია ქართული სოციალური მოძრაობის, მისი უცილო წინამძღოლია 50 წლის განმავლობაში. „ოცი წლის განმავლობაში მან უმნიშვნელო ჯგუფი ვებერთელა პოლიტიკურ ძალად აქცია“, ამბობს მომხსენებელი და აგრძელებს, რომ: „მარტო ასეთი მოღვაწეობა ვერ მიანიჭებდა განსვენებულს დიდ ადგილს იმ „ქართლის ცხოვრების“ მატიანეში, რომელიც ბიბლიური წარღვნიდან იწყებს თავის დასაბამს“, არამედ: „ერის ცხოვრების და ისტორიული სულის საზომით მნიშვნელოვანია მხოლოდ და ფრიად ნოე ჟორდანიას მოღვაწეობის მეორე ნახევარი, როდესაც აწ განსვენებულმა სოციალურ და ინტერნაციონალურ იდეებზე აღზრდილი ზღვა პარტია ეროვნულ დროშის ქვეშ დააყენა“-ო. ქება-დიდებით იხსენიებს რა განსვენებულს, როგორც შემოქმედს 26 მაისის აქტისას ამთავრებს, რომ: „სამშობლოსათვის თავდადებულთა საფლავებიდან ამოძახილი ხმაც ალბათ ამასვე გვეტყვის და ეს იმიტომო, რომ:

ძაფი, ნერვი არ ყოფილა მასში არა
მებრძოლი
წვეთი სისხლი არ ყოფილა მასში არა
ქართული“-ო.

საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის ისტორიაში ქართველ სოც. ფედერალისტების პარტია ცნობილია, როგორც საქართველოს კანონიერ მთავრობის ლოიალური თანამშრომელი პარტია. მათი წარმომადგენლის ბ-ნ ნ. ურუშაძის სიტყვა სწორედ ამ გრძნობით და ამ პრინციპით არის გამთბარი. „განვლილ ბრძოლების მძიმე წუთებში ყველანი ერთმანეთს მივეჩვეოდით ვამხნევებდით: არ

დაილალო! არ დაეცე! გაუძელ! ჩვენს ძალას გვიათკეცებდა ჩვენს წინ მიმავალი თეთრი მოხუცი პრეზიდენტი 26 მაისის ქართული სახელმწიფო დროშით“. ჩვენ ფიცით ვიყავით შეკრულნი ამ დროშასთან და ამ მედროშესთან, ამბობს მომხსენებელი და აგრძელებს: „ასე გავიდა მრავალი წელი. ზარმან ჩვენმა მოხუცმა ბელადმა ჩაიმუხლა და დროშა ჩვენს ეროვნულ მთავრობას გადასცა... დაგვშორდა დაღლილი, მაგრამ იმედიანი, რადგანაც იცოდა, რომ ჩვენ, ფიცით შეკრულნი, საერთო საქმეს არასოდეს ვუღალატებდით...“.

„ბრძოლას ვაგრძელებთ. ჩვენი დროშა ისევ მაღლაა და ღაღება გუგუნებს. ფიცით შეკრულნი მხნედ მივაბიჯებთ და ამ წინსვლაში დიდი პრეზიდენტის ნათელი სახე კვლავ წინ მიგვიძღვის და გვამხნევებს“.

ბ. ლ. ფალავა კრებას მოუთხრობს განსვენებულ პრეზიდენტის ცხოვრების უკანასკნელ მომენტებს მომხიბლველი სიმარტივით გადმოსცემს, თუ რაზე ფიქრობდა და რას განიცდიდა სიკვდილის კართან მდგომი ღრმა მოხუცი, თუ როგორც ემზადებოდა იგი ამ ბუნების გარდუვალობასთან შესახვედრად.

... „1952 წლის სექტემბრიდან ძალიან ხშირად და სერიოზულად დაიწყო ლაპარაკი და მზადება სიკვდილზე; ორჯერ ქალაქის თვითმმართველობაშიც წავიდა, გამოიკითხა პირობები სამარხი მიწის. ყოველივე ეს მოგვითხრო სრულიად აუღელვებლად, ღიმილით. მუშაობას, წერას კი განაგრძობდა ჩვეულებრივ, მეთოდიურად, რომელსაც ის სიკვდილამდის ჩვეულებრივი სიზუსტით ასრულებდა...

9 იანვარს უკანასკნელად ვეწვიე მას ბინაზე. კარი თვითონ გამიღო ჩვეულებრივი ღიმილით. თავის სამუშაო ოთახში შემიყვანა, დამაჯინა, ოჯახის ამბავი გამოიკითხა და ხანგრძლივად მესაუბრა:

„...ჩემო ლევან, ბუნებას თავისი გარდაუვალი კანონი აქვს, ვიმყოფები ცხოვრების მიწურულში. საქმის მოციქული თავს დამტრიალებს და ეძებს შემოსავალ კარებს... თავს ვგრძნობ საუცხოოდ, მაგრამ ეს გავს ამინდს ქარიშხალის წინ. როდის დაიწყება ის, არავინ იცის... მინდა ფეხდაფეხ გავყვე ამ კარგ ამინდს და ვადევნო თვალ-ყური როგორ გარდაიქცევა ქარიშხლად. ეს თვალყურის დევნება იქნება იმავე დროის მისთვის ხელის შეშლა, ამ დაუპატიჟებელი სტუმრის საკადრისად მიღება, რადგანაც მისი თავიდან მოცილება აღარ შეიძლება...

„მიზიდავს მიწა. შემიყვარდა სასაფლაო, თან მიმაქვს ერთი დიდი მწუხარება. ვეღარ ვნახე ჩემი ქვეყანა, ჩემი ლანჩხუთი, ჩემი მიწა. არ ვიქნები კიდევ დიდხანს ნენას გვერდით. გთხოვთ ერთ რამეს: ამხანაგებმა გამიკეთონ მაგარი და გამძლე კუბო, კუბო ისეთი მაგარი, როგორიცაა ჩემი პარტია და ჩემი ერი. ჩვენი ხალხი მე აქ არ დამტოვებს. მაქვს ამის იმედი...

„ყველა ადამიანი არის ღვთის ნაპერწკალი. საქმეა მისი აღმოჩენა ან სერიოზული მისი აღმოჩენის. ადამიანს მე ვუცქერი მაშასადამე წინასწარი თანაგრძნობით, მისი ავი მაწუხებს, კარგი მახარებს. ამიტომ სრულიად მიუღებელია ჩემთვის მისი დამცირება, წაქცევა. მიყვარს დამარცხება, წაქცევა გლახა საქმის, გლახა მიმართულების. არ მიყვარს წაქცევა თვით ადამიანის. თუ ჩემი შვილები და შვილიშვილები ასე იფიქრებენ, მათი მიზანიც ნათელი და მისაღებია. იცხოვრონ ისე, რომ მათი ცხოვრება არ იყოს სხვისი ტანჯვის და მწუხარების წყარო...

„პარტიის პირველ რიგში დგას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ დროშის ქვეშ მუშაობენ საქართველოს სხვა პოლიტიკური პარტიებიც. ეს საერთო მიზანი ბუნებრივად აახლოვებს და აკავშირებს სხვა და სხვა პარტიებს სამშობლოს დაცვის ნიადაგზე. ამიტომ მიზანშეწონილია პარტიათა შორის კოალიცია და მათთან ერთად ანტი-ბოლშევიკური ბლოკის შექმნა. ყველა ქართველი პატრიოტის უწმინდესი მოვალეობაა თავისი რისხვა და ბრძოლა მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დამპყრობლების წინააღმდეგ. შინაური თანხმობა აკეთებს ჩვენს საქმეს. შინაური უთანხმოება, განხეთქილება კი — მტრის საქმეს...“.

„საღამოს ცხრა საათზე დავემშვიდობე, ასკვნის ბატონი ლ. ფალავა, მეორე დღეს შაბათს, ღამის 12 საათზე შემატყობინეს, რომ ნოე ცუდათაა. 15 წუთში მის ბინაზე გავჩნდი, მაგრამ, ცოცხალს ვეღარ მივუსწარი“.

ბატონი გიორგი კერესელიძე კრებას მოუთხრობს თავის მოგონებებს პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას პიროვნების შესახებ. იგი განსაკუთრებით ხანგრძლივად ჩერდება პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაში შექმნილ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კომიტეტის საქმიანობაზე და საქართველოში ამ კომი-

ტის წარმომადგენლებისა და ნოე ჟორდანიას შორის ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

„მიუხედავად იმისა, რომ მე დიამეტრალურად საწინააღმდეგო ქართულ პოლიტიკურ დაჯგუფებას ვეკუთვნოდით, ამბობს მოხსენებელი, მაინც უდიდესი პატივისცემა მქონდა ამ დიდი ადამიანის და დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველ თავის მოქმედებაში ის მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესით ხელმძღვანელობდა“-ო.

უკანასკნელად კვლავ ბ-ნი ევ. გეგეჭკორი მიმართავს კრებას: „ბატონებო, კმარა ლაპარაკი ეხლა საქმეს შევუდგეთ. შექმნილია ნოე ჟორდანიას საფლავზე ძეგლის დამდგმელი კომისია. იმედი მაქვს ყველა ქართველი სათანადოდ გამოეხმაურება ამ მნიშვნელოვან ამბავს“.. ერთობისა და ურთიერთ პატივისცემით გამთბარი შეკრებულობა კიდევ სხვა მოწოდებას მოელის განსვენებული პრეზიდენტის უახლოესი თანამებრძოლისა და პოლიტიკური მემკვიდრის მხრიდან. მაგრამ გამომრიზმელი პოლიტიკური მოღვაწე სიტყვებსაც ისევე ათასჯერ ზომავს, როგორც გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებს, ალბათ ვერ ხედავს ჯერ კიდევ ნიადაგს სასურველად მომზადებულს..

გააზრებული მაგრამ არა თქმული აზრი თითქოს იტაცებს დარბაზს, ფეხზე ამდგარი როგორც ერთი კაცი კვლავ დასძახებს დიდებას... დიდება ქართველ მხედრობას... დიდება სამარადისო ქართველ ერს... გუგუნებს დარბაზი გაერთსისხლხორცებული.. და დიდი პრეზიდენტის ნათელი სპექტრი მომღიმარე სიხარულის ცრემლებით გვევლება თვითეულს. თავისებური ენის კილებით ჩაგვჩურჩულებს: შინაური თანხმობა აკეთებს ჩვენს საქმეს. შინაური უთანხმოება - განხეთქილება კი — მტრის საქმეს.

შურდული.

## ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლისთავი მიუნხენში

კვირას, 31 იანვარს 1954 წ. მიუნხენში, „ქართული ეროვნული გაერთიანების“ მიერ სოც.-დემოკრატიულ და სოც.-ფედერალისტების ადგილობრივ სექციებთან ერთად გამართული იქნა ნოე ჟორდანიას გარდაცვალების ერთი წლისთავისადმი მიძღვნილი სამოქალაქო პანაშვიდი, რომლის დროსაც წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. შესავალი სიტყვა — დავით ერატაძე;
2. ნოე ჟორდანიას ისტორიული ღვაწლი — ნიკო იმნაიშვილი;
3. ნოე ჟორდანია როგორც მამულიშვილი — მინდია ლაშაური;
4. ნოე ჟორდანია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი — რაჟდენ არსენიძე.

მაგნიტოფონის საშუალებით მოსმენილი იქნა რადიო-სადგური „განთავისუფლების“ სამგლოვიარო გადაცემა ნოე ჟორდანიას გარდაცვალების გამო.

## ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე   ა ს ა თ ი ა ნ ი

ქართველ მოღვაწეთა ძველ თაობას კიდევ ერთი მეტად თვალსაჩინო წევრი გამოაკლდა. 28 დეკემბერს მიუნხენში გარდაიცვალა ალექსანდრე ასათიანი. ფიზიკურად მაგარი და ჯანმრთელი ადამიანი, რომლის ავადმყოფობაზე იშვიათად რაიმე გაგვიგონია, უცებ პარიზის საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. აქ ექიმებმა დიაგნოზის დასმაში რომ მერყეობა გამოიჩინეს, ალექსანდრე მისმა მეგობრებმა საჩქაროდ გერმანიაში წაიყვანეს. მას ნაღვლის ბუშტში ქვები აღმოაჩნდა. ოპერაცია კარგად ჩატარდა, მაგრამ სისუსტეს ველარ გაუძლო და ოპერაციის მეოთხე დღეს სამუდამოდ განისვენა.

ალექსანდრე ასათიანის ასე უდროოდ დაკარგვამ საერთო გულისტკენა და მწუხარება გამოიწვია ქართველთა ყველა წრეებში განურჩევლად მათი პოლიტიკური მიმართულებისა. ეს გასაგებია. ჩვენ ქართველებს, ყველას გვაერთებს ერთი გრძნობა, ერთი სურვილი და ერთი მიზანი. ეს საერთო გრძნობაა — ჩვენი უდიდესი სიყვარული და თავდადება ჩვენი ჩაგრული ერის და ქვეყნისადმი. ამავე დროს კი ჩვენ ვსულდგმულობთ უსაზღვრო სიძულვილით ჩვენი მტრების და დამპყრობლებისადმი. ჩვენი საერთო სურვილი და მიზანია ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება და მისი დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს გრძნობა სიყვარულისა და სიძულვილისა. სურვილი და მისწრაფება ჩვენი ერის



ალექსანდრე ასათიანი

გასანთავისუფლებლად ღრმად იყო ჩანერგილი ალექსანდრე ასათიანში და ყველას ჩვენ მასთან ეს გვაერთიანებდა.

ალექსანდრე საქართველოში ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო: მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1917 წელს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დაარსებაში და მის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაში. ძველი თაობის მისი მეგობრების გვერდით ის თვალსაჩინო წევრი და ერთი ლიდერთაგანი იყო ამ პარტიისა. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მის მეგობართა შორის ის საუკეთესო ორგანიზატორად ითვლებოდა. ალექსანდრე იყო აგრეთვე ნაც.-დემოკრატიული პარტიის გამოცემათა მთავარი ხელმძღვანელი და თანამშრომელი, წერის უნარის მქონე და კარგი ჟურნალისტი.

ალექსანდრე იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და სხვადასხვა კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ერთგული და მუყაითი მუშაკი. პარლამენტში ოპოზიციაში მყოფ ნაც.-დემოკრატიულ ფრაქციის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო: ის არ იყო მჭევრმეტყველი. მაგრამ იყო სერიოზული მოკამათე, ყოველთვის საბუთებით ხელში, დინჯი და აუღელვებელი.

აქ ემიგრაციაში, ხან ეროვნულ ორგანოებში და მათთან ერთად, ხან კი ცალკე და ჯგუფურად, ალექსანდრე ასათიანი აქტიურ მუშაობას ეწეოდა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ.

ჩვენი საერთო მიზნისაკენ სავალ გზაზე და ტაქტიკის საკითხებში ხშირად ყოფილა უთანხმოება ქართველ სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის ემიგრაციაში. ამ უთანხმოების დროს ალექსანდრე არასოდეს ყოფილა უკიდურესობის მომხრე და „ან ყველაფერი, ან არაფერი!“-ს მოქადაგე. ის ყოველთვის ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ზომიერება დაეცვა და ჯგუფთა შორის ხიდი ხელოვნურად არ ჩაეტეხა წინასწარ. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა მისი ჯგუფის პოზიცია მას ეჩვენებოდა ექსტრემისტულად და ძალზე შეურიგებლად, ის საჯარო მოხსენებებით გამოდიოდა, გამწვავებულ ატმოსფეროს აშოშმინებდა და საერთო მუშაობისათვის საერთო ენას ეძებდა. ამ მხრივ არა ერთხელ გამოუღია ნაყოფი მის ცდას და მუშაობას. ასეთი ცდის გაკეთებაზე ფიქრობდა ის მისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში და კვირეებშიდაც. მეტად სამწუხაროა, რომ მას ეს არ დასცალდა.

კერძო და პირად დამოკიდებულებაში ალექსანდრე ასათიანი იყო მეტად მორიდებული, წყნარი და ფრიად გულშემატკივარი ადამიანი.

მისი ხსოვნა, დიდ ხანს დარჩება, როგორც მისი მეგობრების, ისე ყველა მისი თანამემამულეთა მახსოვრობაში.

კ. გვარჯალაძე.

---

ალექსანდრე ასათიანი მიუნხენიდან პარიზში დაბრუნდა გასული წლის 1 დეკემბერს და რამოდენიმე დღის შემდეგ ის ავად გახდა. მისმა მეგობრებმა ის მოათავსეს სანტ-ანტუანის საავადმყოფოში. მას აღმოაჩნდა მძიმე ავადმყოფობა. მისმა მიუნხენის მეგობრებმა ბ-ნ გ. მაღალაშვილის მეთაურობით ის მიუნხენში გაიწვიეს იმ იმედით, რომ მას იქ უკეთეს პირობებში გაუკეთებდენ ოპერაციას. პროფ. ფრაიერმა მას ოპერაცია გაუკეთა 23 დეკემბერს, 28-ს კი ძლიერ დასუსტებული ის მიიცვალა. დასაფლავებული იქმნა მიუნხენში, სადაც პარიზიდან გაწვეული იყო წესის ასაგებად მამა ილია. განსვენებულის დაკრძალვას ადგილობრივ ქართველების გარდა დაესწრენ კავკასიელი მეგობრებიც

# ახალი წელი

1953 წელმა, თუმცა მეტად მდიდარმა მსოფლიო ისტორიული ამბებით, ვერ გადასჭრა ვერც ქართული საკითხი და ვერც კაცობრიობის მომავალი ბედ-იღბალი.

ქართული პოლიტიკური ჰორიზონტი კვლავინდებურად ბურუსით არის მოსილი.

სტალინის სიკვდილი, ბერიას და მისი შაიკის — დეკანოზოვ, მერკულოვ, გოგლიძეების — ლიკვიდაცია, უფრო სწორად მკვლელობა, ეს თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები, ოდნავადაც ვერ სცვლიან ქართველი ხალხის ტრაგედიას. პირიქით, ამ ამბებში მოყოლებული განუწყვეტელი წმენდები უკანასკნელი სისხლისაგან სცლის განაწამებ ჩვენს ქვეყანას.

200 კილოგრამიანი, გაბერილი მალენკოვის, ამ ორენბურგელი სისხლიანი კაზაკის ამომავალი მზე ჰყინავს ჩვენი ქვეყნის აყვავებულ მთაბარს.

ახალი წელი მოდის ახალითა და შეუცნობელით გასხივოსნებული. ახალი და შეუცნობელი წყაროა იმედის. იმედი კი აუცილებელია ადამიანისათვის. ადამიანის განაწამებ სულს თუ იმედიც მოესპო, მაშინ ღვთიური ნაპერწკალი ჩაჰქრება და პირუტყვული მდაბალი გრძნობები-ღა, მხოლოდ, დაეპატრონებიან მას.

დე, იმედი, დიდი და ნათელი იმედი, ჩვენი მუდმივი მიზანსწრაფვის კეთილად დაგვირგვინებისა დაგვაუფლოს ახალმა 1954-მა წელმა.

ქორონიკონი.

# საქართველოს ამბები

## რეჟიმის კრიზისი

...სტალინის სიკვდილის და ბერიას „გაპალაჩების" შემდეგ საქართველოს ცხოვრება, მრავალფეროვანი გახდა. ის, რაც უცვლელად და ღვთაებრივად ითვლებოდა, დღეს იგი საეჭვო და არარაობა აღმოჩნდა. გუშინდელი არარაობანი კი, პარტიულ და სახელმწიფო სფეროებიდან, მედროვენი და მომენტის ბატონ-პატრონი გახდენ. აბა, გუშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ნიკიტა ხრუშჩევი, ეს განდიდებული არარაობა, „სქელ შუბლიანი" ნიკიტა, როგორც იმას სტალინი უწოდებდა — საბჭოთა კავშირის მეორე კაცი გახდებოდა? ან და ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს „მეთაურად" ვიგინდარა და ჟულიკი გ. ჯავახიშვილი და ლაწირაკი მჟავანაძე მოევლინებოდა?

მაგრამ ეს ცვლილებები ისეთი სისწრაფით ხდება, რომ არ არის გამორიცხული, დღევანდელი ბატონები ხვალ ძველების გზას გაჰყვენ და ასე მანამ, სანამ ამ „ჩეხარიადის" თვით რეჟიმიც გადაყვება.

ამიტომაც ამ ახალ ბატონებს სჭირდებათ დაპყრობილი პოზიციების განმაგრება და, რაც მთავარია, ხალხის ავტორიტეტის და გავლენის მოპოვება. უამისოდ მათი ბატონობა მეტად ხანმოკლე იქნება და ანგარიშის გასწორების წუთიც მალე დადგება... ამიტომ მთელს კავშირში დღეს ყრუ და შეუჩერებელი ბრძოლა სწარმოებს, როგორც მართველ წრეებში, ისე ამ უკანასკნელისა და მასებს შორის. დღეს გაბატონებული წრე ცდილობს, ყველა საშუალებით, ხალხის გული მოიგოს. მაგრამ ეს ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. როგორც ვიცით ხრუშჩევის დიდ გამოსვლას ადგილი ქონდა სექტემბერში; ყველაფერი ის რაც ნიკიტამ წაიკითხა და ცეკას იგი ახალ აღთქმად მიაღებინა — საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამეურნეო მდგომარეობის გართულების და მასების გალატაკების შესახებ და ის ღონისძიებები, რომელიც მან დასახა, როგორც სასოფლო მეურნეობაში, ისე, საერთოდ, ფართე მოხმარების საგანთა გამრავლების შესახებ — ყველაფერი ეს წარმოადგენდა, სიტყვა-სიტყვით, ბერიას მიერ დასახულ პლანს, რომელიც მან წარუდგინა ცეკას პრეზიდიუმს, მარტის სხდომაზე. ნიკიტამ კი განიმეორა ბერიას პლანი, იგი თავისად გამოაცხადა და ხალხს შეპირდა იმის განხორციელებას. მაგრამ ხრუშჩევ-მალენკოვის ამ ხერხმა ვერ გასჭრა, შეცდომაში ვერვინ შეიყვანა. პირიქით, ხრუშჩევის მიერ ბერიას პლანის მითვისების ამბავი მთელს კავშირს სწრაფად მოედო და ბერიას სახელის ირგვლივ ხალხში დაიწყო სხვა და სხვა ლეგენდების ქსოვა. ამ ლეგენდების მიხედვით, ბერია ზოგისთვის ეშმაკეულია, ზოგისთვის კი გმირია; დიდიხანია იგი გაექცა კრემლში დაბინავებულ ქაჯებს — იმალება სადღაც შორეულ ციმბირში, ადგენს განთავისუფლების ლეგიონებს და ახლო მომავალ-

ში გასწმენდს ცოდვილი როუსეთისა. ბერიას სახელის ირგვლივ ფანტაზიებს საზღვარი არ აქვს.

მაგრამ სინამდვილეში კი სულ სხვაა, რაზედაც ქვემოდ მექნება მუსაიფი.

ეხლა მინდა მოკლედ გაგაცნოთ მართველ წრეებში გამეფებული სულისკვეთება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ — ერთი-მეორის გაუტანლობა.

უნდა ითქვას — მალენკოვის მდგომარეობა, ჯერ - ჯერობით, ასე თუ ისე, სტაბილურად გამოიყურება. მან შესძლო, ნაწილობრივ, პარტიის და სახელმწიფოს სპეც - აპარატების მორიგება - გაერთიანება საშიში კონკურენტის — ბერიას და მისი მომხრეების—წინაალმდეგ. მაგრამ ძირითადი დავა — პარტიის თუ სახელმწიფოს—**პირველობაზე**, კვლავ გადაუჭრელი რჩება. საქმეს ართულებს დავაში ჯარის სარდლობის ჩარევა. მოსკოვში გავრცელებული ხმების მიხედვით, მალენკოვი უკვე შეუდგა, ხრუშჩევის დახმარებით, ინტრიგების ქსოვას მოლოტოვ - ბულგანინის წინაალმდეგ. ამ ხმების საფუძვლად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ მალენკოვსა და მოლოტოვის შორის არსებობს დიდი უთანხმოება საგარეო პოლიტიკის შესახებ. მოლოტოვი აქ ითვლება ორთოდოქსალური ბოლშევიკად და დასავლეთისადმი შეურიგებელი ტაქტიკის მომხრედ. მისი აზრით ყოველივე სერიოზული შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა დასავლეთთან შეუცდომლად იძლევა მსოფლიო კომუნიზმის შესუსტებას და საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის დაცემას, როგორც რევოლიუციონური ძალის. მალენკოვი კი, ბერიას მზგავსად, საჭიროდ სთვლის დასავლეთთან დაშოშმინებას და დროებით სულის მოთქმას. ამ დავამ კრემლში ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ახლო მომავალში აქ მოელიან დიდ ამბებს.

არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში, მოლოტოვის ჯგუფი აღმოჩნდეს ბერიას ტყავში და მისი ბედი გაიზიაროს. ამ დავაში მალენკოვ - ხრუშჩევი ცდილობენ დაეყრდნონ იმ ახალ კადრებს, რომლებიც ბერიას „გაპალაჩების" შემდეგ, სისტემატიურად ავსებენ სახელმწიფო და პარტიულ აპარატების მბრძანებელ პოზიციებს. ეს ახალი კადრები თავის უმრავლესობაში არიან ტექნიკოსები, რომლებიც გამოიჭედნენ სტალინური მძიმე ეპოქაში. მაგრამ... ეს კადრები ამორალური, უპრინციპო, ეგოისტური და ამბიციოზით გავსილი ნაწილია საბჭოთა ბიუროკრატიის, რომლისათვის არავითარი წმიდათა - წმინდა არ არსებობს. ასეთ ლაშქარზედ დაყრდნობილი მალენკოვ - ხრუშჩევი შესძლებენ თუ არა ისეთი მძლავრი მოწინაალმდეგის მოგერიებას, როგორიც მოლოტოვის ჯგუფია?—ეს დამოკიდებული იქნება იმაზედ, თუ ვინ პირველად „დაჰკრავს". ამ შემთხვევაში ჯარის სარდლობაც იმ „გაბედულის" მხარეზედ იქნება, თუ რასაკვირველია ჯარის სარდლობაში ჩავთვლით იმ გენერალ - მარშლებს, რომელნიც დღეს მოკალათებული არიან ცეკაში. ნიკიტა ხრუშჩევის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უკვე შესძლო პარტიის ცეკას მარშლების გადაკიდება ბულგანინთან და მათ შორის უნდობლობის ჩამოგდება. ესეც, ალბად, ნიკიტას და მალენკოვის სადივერსიო პლანის ნაწილია, მოლოტოვის ჯგუფის წინაალმდეგ მიმართული.

მიკოიან - ვოროშილოვი კოგანოვიჩთან ერთად ჯერ კიდევ ეკუთვნიან მართველ მაღალ წრეს; მაგრამ კრემლის ბირჟაზე მათი კურსი შეუჩერებლივ ეცემა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ისინიც ბერიას გზას გაუყენონ, მაგრამ უხმაუროდ.

ამრიგად დღეს საბჭოთა კავშირს განაგებს მუდამ ერთი-მეორის წინაალმდეგ **შეთქმული ხუთეული** და უპრინციპო—ამორალური ბიუროკრატია. არც ერთს და არც მეორეს ხალხში მორალური ავტორიტეტი აღარ აქვს,—არც მათი პოლიტიკური აპარატი ძველებურად გავლენას ვეღარ ახდენს და ასე — ხალხიდან გარიყული ერთი - მეორეს მჭამელნი — სასიკვდილო კრიზის განიცდის. გადაიტანს იგი ამ პოლიტიკურ კრიზისს და გამოვა რეჟიმი გამარჯვებული, თუ არა — ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის საგარეო მდგომარეობაზე, დასავლეთის კრემლისადმი დამოკიდებულებაზე. ამ კითხვებს ხშირათ გაიგონებთ პარტიულ წრეებში და კერძოთ, ნიკ. ხრუშჩოვის კამარილიაში.

მაგრამ მარტო მართველ წრეებში შინაგანი ბრძოლით, როდი ამოიწურება საბჭოთა კავშირის შინაური სირთულენი. ქვეყნის ყველა კუთხე დღეს განიცდის მეტად მწვავე კრიზისს, როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურ-ნაციონალურ სფეროში. მართალია, ნ. ხრუშჩოვის პირით კრემლი ხალხს დაჰპირდა სანოვაგის სიუხვეს და სამეურნეო - საწარმოვო პროდუქციების გამრავლებას, მაგრამ კრემლის ანგარიშში ერთი აღმოჩნდა და სინამდვილე კი მეორე. ბუნებამაც თავისი სიტყვა სთქვა: მთელს კავშირში გაუგონარ გვალვამ, მცირედი გამონაკლისით, თითქმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაანახევრა მოსავლიანობა,—რის შედეგად, უეჭველია, შემცირდა, როგორც მარცვლეულთა პროდუქცია, ისე ხორცის და სხვა სასოფლო ნაწარმოებთა ოდენობა.

უეჭველია, კრემლმა ძალიან კარგად იცოდა (უკეთ სექტემბერში!), თუ როგორი დაცემული მოსავალი იქნებოდა მთელს კავშირში. ამიტომ მან მიმართა მეტად უხეშ ხრიკს,—რათა გლეხობა დაეინტერესებია და სახელმწიფოსათვის მეტი სურსათ-სანოვაგე ჩაებარებია,—ხრუშჩევის პირით კრემლმა გამოაცხადა: — სახელმწიფო ჩაბარების ფასების აწევა, „ნედოიმკების" გაუქმება და მთელი რიგი შეღავათები, მაგრამ გლეხობა ამ ანკესზედ არ წამოეგო. ჩაბარების გეგმები კატასტროფიული აღმოჩნდენ და ხელისუფლება დადგა მწვავე სასურსათო პრობლემის წინაშე. ამის მიზეზია ის უჩინარი, მაგრამ ყოველგან არსი და ულმობელი ფაქტი, რომელსაც ქვია **უნდობლობა, დისციპლინის მოშლა და ავტორიტეტის დაცემა.** ეს ფაქტი ასპარეზზედ გამოვიდა სტალინის სიკვდილის დღეებში,—გაიზარდა და დავაჟკაცდა ბერიას მოღალატედ გამოცხადებით. იმან კრემლის ყველა მობინადრე საეჭვოდ და უავტორიტეტოდ აქცია ფართო მასების თვალში. ეს სამი სიტყვა გახდა ყოველდღიური ცხოვრების საფუძველი. რაც მთავარია, ამას გრძნობს ხელისუფლება და მისი აპარატი და იგი თანდათანობით პარალიჩში ვარდება. აქედან კრემლის ნერვიულობა: ხან ალერსი-ახსნილი რეპრესიები, ხან დაყვავება და ქათინაურები უფლებაყრილი ხალხისადმი. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, თუ გლეხობამ ცეკას და მთავრობას სექტემბრის „მანიფესტზე" უპასუხა ბოიკოტით სურსათის ჩაბარების საქმეში და მას შეხვდა უნდობლად?

სოფლის კრიზისმა აიყოლია ქალაქის მრეწველობა. საქმე რიგზედ არც აქ აღმოჩნდა. მუშა-მოსამსახურენი მრეწველობაში განიცდიან საშინელ მატერიალურ შევიწროებას: სისტემატიური ნაკლებობა სასოფლო პროდუქტების, პურის, ქართოფილის, ბოსტნეულის და აუტანელი სამუშაო პირობები ფაბრიკა-ქარხნებში — შეუძლებელს ხდის ნორმის შესრულებას, პროდუქციის გაზრდა-გადიდებას და პირველი საჭიროების საგანთა დამზადება-მიწოდებას სოფლისათვის.

მუშათა უკმაყოფილების დემონსტრაცია დღეს უკვე ხშირი მოვლენაა მთელს კავშირში. მუშათა მასას ეტყობა რაღაც გამოღვიძება, მას ძველებურად ველარ აშინებს რეპრესიები, უფრო მეტი გაბედულება ემჩნევა და ეს კიდევ უფრო ანერვიულებს კრემლის ჯალათებს.

მაგ. მიმდინარე წლის (1953 წ.) 30 ივლისს, თბილისის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში (დაზგად მშენებლობის, ფეხსაცმელების ფაბრიკა და რკინის-გზის სტალინის სახელობის სახელოსნოებში) მუშებმა ადმინისტრაციას მოთხოვნილებები წარუდგინეს, სადაც მოითხოვდენ სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით იმუქრებოდენ. რასაკვირველია, ხელისუფლებამ მშიერი მუშების მიერ პურის მოთხოვნას პოლიტიკური სარჩული მისცა; მეთაური მუშები დაატუსაღა და ისინი ბერიას მომხრეებად გამოაცხადა. თუმცა კრემლმა კარგად იცის, რომ თბილისის მუშებისათვის ბერიაც ისეთივე საზიზღარი იყო, როგორც მალენკოვი და მისი ამალა არის. აქ საინტერესო ის არის, რომ ამ ფაქტის შემდეგ მუშათა მომარაგებას გაუმჯობესება დაეტყო. ამბობენ: ჯარის მარაგიდან გამოყვეს საჭირო სანოვაგე მუშების დასაკმაყოფილებლად.

როგორც ირწმუნებიან, მშიერ მუშების ამ „თავხედობას" გადაყვა ვალერიან ბაქრაძე და მასთანერთად მთელი რიგი კომუნისტებისა, რომლებიც მოვიდენ ხელისუფლებაში ბერიას წაქცევის შემდეგ. ბაქრაძის ადგილი დაიჭირა გ. ჯავახიშვილმა, თბილისის ქალაქის საბჭოს ყოფ. თავმჯდომარემ, პიროვნება მეტად უჩინარი და არარაობა, მაგრამ მუდამ მოსკოვის ერთგული და მორჩილი. ეს კი მთავარი ღირსებაა კრემლის ბატონების სამსახურში შესაძრომად. საქ. კომპარტიის პირველ მდივნად დაინიშნა ვიღაც —მჟავანაძე, პიროვნება უცნობი და ახალი პარტიულ ხელმძღვანელობაში. იგი იყო დღემდის პარტიის უკანა კარებში — უხეში და გაუთლელი. დღეს კი მოსკოვი ფიქრობს ამ არარაობით მართოს „გაპალაჩებული" საქართველოს კომპარტია. „როგორიც მღვდელი ისეთი ბერი".

***

საერთო რწმენაა, რომ ომი მოახლოვებულია. ამ რწმენას აძლიერებს კრემლში გამეფებული ატმოსფერა. აქ სჯერათ, რომ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს ომის და მოსკოვი დაჩოქის. კრემლი ყველაფერს შვრება, რათა საბჭოთა მოქალაქე ამაში დაარწმუნოს. აქ აშკარად სწარმოებს დიდი სამზადისი, როგორც სამხედ-

რო ინდუსტრიის დარგში, ისე სამხედრო მასალების და სურსათ - სანოვაგის დიდი მარაგის შესაქმნელად. მთავრობა იღებს ყოველივე ზომებს, რათა ხორცის საკონსერვო ფაბრიკები უზრუნველყოს ნედლი მასალით. როგორც ამბობენ, მთავრობამ გადასწყვიტა შეიძინოს უცხოეთში დიდძალი სურსათ - სანოვაგე, მსხვილრქოსანი და წვრილფეხა საქონელი! სხვათაშორის, ამ ფაქტიდან დასკვნით, თუ სანამდი მივიდა ჩვენში ეკონომიური კრიზისი და ხალხის დამშევა.

მეორეს მხრივ მოსკოვი იღებს ყოველივე ზომებს, რათა მისი კავშირი ჩინეთთან გახდეს მჭიდრო და ეფექტიური. ათიათასობით სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური სპეცები იგზავნებიან ჩინეთში, რათა მოკლე ხანში დამთავრდეს ჩინეთის ჯარის და სამხედრო ეკონომიკის რეორგანიზაცია; რათა მოხდეს სტანდარტიზაცია საბჭოთა კავშირის და ჩინეთის სამხედრო პოტენციალის. როგორც ირწმუნებიან ყველა ეს ზომები გათვალისწინებულია ჩინეთ - საბჭოთა კავშირის, 1950 წ. საიდუმლო შეთანხმებით, რომელზედაც ხელი უწერიათ სტალინს და მაო-ცედუნს. ამ ხელშეკრულების ძალით მოსკოვი ვალდებულია დაეხმაროს ჩინეთს, რათა იგი გადაიქცეს შორეული აღმოსავლეთის ინტერნაციონალური ძალად, რომელსაც დაეკისრება სამხრეთ - აღმოსავლეთი აზიის განთავისუფლება. ჩინეთი იჩქარის და მოსკოვიდან მოითხოვს პირობების შესრულებას. ეს უკანასკნელიც არაფერს ზოგავს, რათა ჩინეთის სამხედრო - ეკონომიური სტაბილიზაცია მოხდეს. მაგრამ ამის მიღწევა მარტო „სპეცების" გაგზავნით ვერ მოხდება და მოსკოვი იძულებულია შინაური კრიზისაც მოუაროს და მეგობარ ჩინეთსაც მიხედოს. ეს კი დღევანდელ ვითარებაში ადვილი საქმე როდია და აი ამ ნიადაგზედ, როგორც ირწმუნებიან, მოსკოვ - პეკინს შუა დიდ „გაუგებრობას" აქვს ადგილი. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, არ ითვლება გამორიცხულად, რომ ჩინეთის სერიოზული აქცია შორეულ აღმოსავლეთში დაიწყება მომავალ 1954 წელში. ამდენივად კორეის „დაზავება" აქ მიაჩნიათ დროებით შესვენებათ, რათა ამით საშუალება მიეცეს მოსკოვ - პეკინის კოალიციას ჩინეთის სამხედრო ძალების რეორგანიზაციის და აზიის სხვა სტრატეგიულ პუნქტებზედ სადივერსიო უჯრედების უზრუნველსაყოფად.

მოსკოვში, კრემლის სფეროებში ემჩნევა მეტის - მეტი ნერვიულობა. ამის მიზეზად ასახელებენ ორ გარემოებას: 1) ამერიკის მტკიცე პოზიცია მოსკოვისადმი, რაიც მეტად აშინებს კრემლის „ქაჯკაცებს" და 2) მოსკოვ - პეკინის შორის უკანასკნელ ხანებში წამოჭრილი უთანხმოებანი. პეკინის აზრით — მოსკოვი ცდილობს თავისი ინტერესების გასანაღდებლად ევროპაში და აზიაში უკომპენსაციოდ გამოიყენოს პეკინის ავტორიტეტი და სამხედრო ძალა, მაშინ, როდესაც მოსკოვი არაფერს აკეთებს პეკინის მსოფლიო ფერხულში შესაყვანად და თვით აზიაში ამ უკანასკნელის პოზიციების გასამაგრებლად. ყველაფერ ამის უკან იმალება კიდევ უფრო დიდი საკითხი, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს მოსკოვ - პეკინის ურთიერთობას. ასეთად ასახელებენ ინდოეთის მომავალ ბედს. (იგულისხმება ინდოეთ - პაკისტანი). მოსკოვი, ამ ვერსიის მიხედვით, მზად არის ჩინეთს „დაუთმოს" გავლენა მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთზე, მაგრამ წინააღმდეგია ინდოეთი შევიდეს პეკინის გავლენის სფეროში. ინდოეთი მოსკოვს მიაჩნია თავისი ისტორიული გზის გაგრძელებად თბილ ზღვებისაკენ. ამიტომ მისი აზრით, მთელი ინდოეთი უნდა გადაიქცეს საბჭოთა რესპუბლიკად, რომელიც პირდაპირ შევა მოსკოვის სფეროში.

ერთი სიტყვით, აქ შთაბეჭდილებაა, რომ აზიის საკითხში მოსკოვი და პეკინი ჯერ კიდევ ვერ არიან მთლიანად შეთანხმებული. ეს კი ძირითადი პირობაა მომავალ ამბების დასაჩქარებლად, თუ შესანელებლად. ერთი კი უდაოდ ითვლება: სანამ მაო-ცე-დუნი ბატონობს პეკინში, მოსკოვს ისე ადვილად არ შეუძლია თავისი პოლიტიკა ატაროს აზიაში. სტალინის სიკვდილის შემდეგ, მაოს პრესტიჟი გაიზარდა არა მარტო ჩინეთში და მის მეზობელ ქვეყნებში, არამედ თვით საბჭოთა კავშირშიც. ამიტომ დამახასიათებელია, რომ კრემლის მესვეურნი დაბეჯითებით უწყობენ ხელს იმ ხმების გავრცელებას, რომელიც ამტკიცებს, რომ მაო-ცედუნი ბერიას დიდი მეგობარი იყო და სავსებით იზიარებდა ამ უკანასკნელის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. არაა გამორიცხული, რომ კრემლის ჯალათები, რაღაც მახეს უგებენ მათ მოკავშირე მაო-ცედუნს, რომელიც მართალია ითვლებოდა ბერიას ერთ-ერთ ახლობელ მეგობრად უცხოელ კომუნისტთა შორის. ასეა თუ ისე, თამაში მეტად გაბედული და სახიფათოა — ამიტომაც თავის შედეგებით შეიძლება იგი აღმოჩნ-

დეს გადამწყვეტი თვით საბჭოთა კავშირის მომავლისათვის.

რაც შეეხება ევროპიულ საკითხებს, არავის სჯერა, რომ მოსკოვი წავა რაიმე სერიოზულ დათმობაზედ, კერძოდ, გერმანიის საკითხში. ამ უარყოფით შეხედულებას იმით ასაბუთებენ, რომ გერმანიის საკითხის „სტატუს-ქვოს“ შეცვლა ძირბუდიანად ცვლის და ყირამალა აყენებს მოსკოვის მთელ ევროპიულ სტრატეგიას, რომელიც აგებულია გერმანიის ორად გაყოფის ფაქტზე. ამრიგად, მოსკოვის თანხმობა გერმანიის საკითხში ცვლილებების შესატანად და ამ ქვეყნის გაერთიანება დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულად მოსკოვის პირდაპირი გავლენის გარეშე — ნიშნავს მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დატოვებას მოსკოვის მიერ და ხელის აღებას მომავალ ექსპანსიაზე. ეს კი აქ სრულიად გამორიცხულად ითვლება მანამ, სანამ მოსკოვში დღევანდელი რეჟიმი ბატონობს.

**
*

კრემლის დღევანდელი ლოზუნგია — ეროვნული რესპუბლიკების მოტეხა და მათი სრულ მორჩილებაში ჩაყენება. მთელ საბჭოთა კავშირში მძვინვარებს საშინელი რუსიფიკაციის ტალღა. რუსული ენა გადაიქცა ერთ-ერთ სავალდებულო ენათ. იგი გაბატონდა და სავსებით დაეუფლა (3/4-ით) ნაციონალურ რესპუბლიკებში თეატრს, კინოს, რადიოს, პრესას, სკოლას და საზოგადო დაწესებულებებს. წარმოიდგინეთ საქმე იქამდის მივიდა, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში და უწყებებში რუსული ენა გამოცხადდა სავალდებულოდ. მაგრამ რუსიფიკაცია მარტო ენით როდი ამოიწურება. ხდება გარუსება ერის, მისი ფიზიკურად გატეხით. დაფერთხეს არა მარტო ადგილობრივი კომუნისტები, არამედ მათ მიაყოლეს ათასობით ნაციონალური ინტელიგენცია და სპეცები.

რატომ დასჭირდა მალენკოვის ბანდას არარუს ერების ასე სასტიკად დევნა? აქ ამის ორგვარ მოსაზრებას აყენებენ: 1) ბერიას საქმემ დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირი ხელოვნური ქმნილებაა. არა რუსი ერები იქ ძალით შერეკილი არიან და მათი „მოთვინიერება“ ბერიას რეცეპტით შეუძლებელია.

2) კრემლის რწმენაა, რომ ომი მოახლოვებულია. საჭიროა შინ წესრიგი და მონოლიტური მუშტის შეკვრა. არა რუსი ერები, საერთაშორისო კრიზისის დროს, არა საიმედოთ ითვლებიან. კრემლის მესვეურთა ამ ორი მოსაზრების მიხედვით, არა რუსი ერები უნდა გადაადნონ ერთ რუსის ერად. უნდა გამოეცალოს მას ინტელიგენცია და გარედ მაყურებელი ელემენტები. ეს უნდა მოხდეს დაკვირვით წესით, რადგანაც დრო არ ითმენს.

და, აი, დაიწყო მოურიდებელი რუსიფიკაცია. ეროვნულ რესპუბლიკების სათავეში ჩაყენებული იქნენ (დროებით, ალბად) უვიცნი იმავე ეროვნებიდან, ხოლო მათ მიუყენეს რუსი, ან უცხო ელემენტები. ამ უკანასკნელთა მოვალეობაა ეროვნულ რესპუბლიკების გაწმენდა „არა საიმედო ელემენტებისაგან“. მეორე მხრივ, ციმბირიდან საკავშირო რესპუბლიკები კავშირის მოსამზღვრე ტერიტორიებია — უკვე დაიწყო ეროვნულ რესპუბლიკების სამზღვრის რაიონებში (კერძოდ, ამიერ კავკასიაში) მცხოვრებთა აღწერა. ამ ზომების მიზანია მოამზადონ ამ ზონებში მობინადრე მცხოვრებთა გადასახლება ციმბირში, ან შიდა რუსეთში. რასაკვირველია, აღნიშნული აღწერა, ოფიციალურად, ტარდება ხელისუფლების მიერ, როგორც „სამეურნეო გაუმჯობესებათა წინასწარი ზომები“.

აი ამ ალვიარ ახსნილი და მოურიდებელი რუსიფიკაციის ხანაში შევდგით ფეხი. ყველა გრძნობს, რომ დადგა საშინელი რეაქცია. განსაკუთრებით ეს საგრძნობი ხდება ჩვენში, საქართველოში, სადაც „უფროსი ძმის“ — სიყვარული და ქება-დიდება სავალდებულოდ ითვლება. ვაი მას, ვინც რუსის ძვირს იტყვის, თუ გინდ იგი კისერზედ ფეხს გადგამდეს. სწორედ ეს ალმოჩნდა ყველაზედ უფრო აუტანელი ქართველისათვის; ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ციხეები და მილიციის საპყრობილეები სავსეა „რუსის შეურაცხყოფისთვის“ დასჯილი ქართველებით, განსაკუთრებით, ახალგაზრდობიდან...

როგორც ხედავთ, პერსპექტივა მეტად მწარე და ცხელიანია. თუ ბოლშევიკებს დასცალდათ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ისინი შესძლებენ ნაციონალურ რესპუბლიკებში „წესრიგის“ დამყარებას. მიუხედავად ამისა ჩვენ იმედს არ ვკარგავთ. ჩვენი იმედია, რომ თავისუფალი კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს შეიგრძნობს მის თავზედ დაწოლილ სასიკვდილო საფრთხეს და, აი მაშინ დადგება მოსკოვის აღსასრულიც და ჩვენი ხსნა. ამრიგად, ბერია დამოკიდებული დასავლეთის პოზიციაზე კრემლის მიმართ

და ბევრი ფიქრობს, რომ ეს დაავადებითი კიდევ ერთხელ იხსნის კრემლს დაღუპვისაგან; იგი მისცემს საშუალებას მოსკოვს ადვილად გადაიტანოს შინაური პოლიტიკურ-ეკონომიური კრიზისი, ნაწილობრივ დააკმაყოფილოს დამშეული საბჭოთა კავშირის მცხოვრებნი და ამით მოახდინოს ფსიქოლოგიური გარდატეხა თავის სასარგებლოდ.

თუ ეს უკანასკნელი ჰიპოტეზა გამართლდა, რაც ჩვენ უფრო რეალურად მიგვაჩნია — მაშინ მოწმენი გავხდებით საშინელი საერთაშორისო კატასტროფის. ომის აცილება შეუძლებელი გახდება, რადგანაც გამაგრებული მოსკოვის პრეტენზიებს საზღვარი აღარ ექნება. და მაშინ დასავლეთის მიუნხაგი კაპიტალისტები მოიმკიან იმას, რასაც სთესავენ.

დევნილი.

25 ოქტომბერი. 1953 წ.

.........................

## რ ა შ ე ი ც ვ ა ლ ა

(ახალი წლისათვის)

ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე — ჩერჩილი ამ შემოდგომაზე, თემთა პალატის სესიის გახსნისას, მეფის სიტყვის საპასუხოთ აცხადებდა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესობას და არა საგარეო დაპყრობის მიზნებსო. ატომიური და წყალბადის ბომბის წარმოების განვითარება, ჩერჩილის აზრით, ქმნის ერთმანეთის განადგურების შესაძლებლობას, რის შიშმა დაბოლოს უნდა გამოიწვიოს სამხედრო აგრესიის უარისყოფა. ამიტომ, მისი შეფასებით, მესამე საერთაშორისო ომი არ არის მოსალოდნელი და იმედს გამოსთქვამდა, რომ საბჭოთა რუსეთთან საერთო ენა გამოინახება.

ჩერჩილის სიტყვებიდან ერთად-ერთი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: ტეხნიკის განვითარებამ რუსები დაარწმუნა, რომ ამ განვითარებით მათაც მოელის განადგურების საშიშროება და აგრესიულ მიზნებზე ისინი ხელს იღებენ, სამაგიეროდ რუსეთში იწყება დიდი მუშაობა შინაური აღმშენებლობის ჩასატარებლად და ამ მიმართულებით ხდება იქ დიდი სოციალური ტრანსფორმაცია. ერთი სიტყვით საერთაშორისო ზავს და მშვიდობიანობას, ჩერჩილის ვარაუდით, ამიერიდან ხიფათი აღარ მოელის.

ცხადია, ჩერჩილზე, როგორც ბევრ სხვებზე, გავლენა და შთაბეჭდილება მოახდინა მალენკოვის და ხრუშჩოვის მოხსენებებმა საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობაში კრიტიკული მდგომარეობის გამოსასწორებლად შესაფერისი ზომების მიღების შესახებ.

წინეთ, სტალინის დროს, წლების განმავლობაში კომუნისტური გაზეთები სავსე იყო სხვადასხვა ადგილებიდან სტალინისადმი მიმართვებით. მას დიდი მოწიწებით მოახსენებდენ, რომ სოფლის მეურნეობის, კოლხოზების ყველა დარგებში გეგმები ერთი ასად, თუ მეტად არა, სრულდებოდა. სახელმწიფოს ყველაფერი რიგზე ბარდებოდა და მცხოვრებლებსაც ყველაფერი საყოფაო და ბლომად ქონდა. თვითმპყრობელი დიქტატორის „გენიალური" ხელმძღვანელობისადმი ქება-დიდების შესხმას საზღვარი არა ქონდა და მას უმორჩილეს მადლობას უცხადებდენ „ბედნიერი, საამური და მხიარული ცხოვრებისათვის".

უცებ ყველაფერი შეიცვალა და მალენკოვ-ხრუშჩოვმა სულ სხვანაირი ამბები გვამცნეს. ტყუილი ყოფილა ყველა ის ცნობები, რომელთაც წინეთ სტალინს აწოდებდენ, რომ სოფლად, ვითომც, ყველაფერი რიგზე იყო და ყველანი მხიარულად და ბედნიერად ცხოვრობდენ. ორი დიდი სანოვნიკი აამჟღავნებენ ეხლა იმ დოკუმენტთა შინაარს, რომელნიც დროზე არ ქვეყნდებოდა და საიდუმლოდ ინახებოდა: მძიმე ინდუსტრიის განვითარება ხდებოდა მსუბუქ. სურსათ-სანოვაგის ინდუსტრიის ხარჯზე და ამ უკანასკნელს სათანადო ყურადღება არა ექცეოდა; ძალით და მათი სურვილის წინააღმდეგ კოლხოზებს აიძულებდენ სახელმწიფოსათვის რაც შეიძლება მეტი ნაწარმოები ჩაებარებინათ, ეს კი იწვევდა გლეხთა უკმაყოფილებას და პასიურ წინააღმდეგობას; ამის შემდეგ იყო სოფლის ნაწარმოებთა შემცირება და, განსაკუთრებით, ცხოველთა მოშენების საქმის მოდუნება და შენელება. ახალ ამბავით გვამცნობებენ აგრეთვე, რომ 1953 წელს საბჭოთა კავშირში რქოსანი საქონლის, ცხვრების, თუ ცხენების

რიცხვი 1916 წელთან შედარებით გაცილებით ნაკლებია, ამავე დროს კი მცხოვრებთა რიცხვი 70 მილიონით მომატებულია. რუსეთს დღეს არ აქვს საკმარისად ქართოფილი, შაქარი, კარაქი, და პირველი მოთხოვნილების ბევრი სხვა ნაწარმოები, რომელთა უცხოეთიდან შემოტანა აუცილებელი ხდება. რაც საბჭოთა გარეშე ქვეყნებში ხდებოდა და კეთდებოდა წინეთ შავი ფერადებით გვიხატავდენ, ეხლა კი საშინაო ვაჭრობის მინისტრი მიკოიანი არ ერიდება გვითხრას, რომ ევროპიდან შემოტანილი საქონელი უკეთესია ხარისხით და გარეგანი ფორმითაც და მოითხოვს საბჭოელებმა კარგად შეისწავლონ ბურჟუაზიული ქვეყნების ვაჭრობის მექანიზმი და ორგანიზაცია.

მალენკოვ - ხრუშჩოვ - მიკოიანი ხალხს პირდებიან ყველა ეს ნაკლი 2-3 წლის განმავლობაში სავსებით გამოასწორონ და მსუბუქი ი ნ დ უ ს ტ რ ი ი ს წარმოება დიდი სისწრაფით განავითარონ. ამავე დროს გლეხებს აიმედებენ, რომ სახელმწიფოსათვის მათ მიერ ჩასაბარებელი ნორმები და ზოგი მათი გადასახადები შემცირებული იქნება. კრემლის მესვეურთ სურთ ასეთი მათი სიტყვიერი დაპირებებით მცხოვრებთა გული მოიგონ, ხალხის უკმაყოფილება ჩააქრონ, მისი ნდობა მოიპოვონ და პოპულარული გახდენ. ამავე დროს სარგებლობენ ხსენებულ ნაკლთა გამოაშკარავებით, რათა კიდევ ერთხელ მოახდინონ მათ მიერ პერიოდულად მოწყობილი წმენდა და ყოველგან თავიანთი ხალხი ჩააყენონ.

ზოგი დღეს ბოლშევიკების ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ლაპარაკობს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მათ ახლანდელ საქმიანობას არავითარი კავშირი არ აქვს 1922 წლის ლენინის ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან, რომელიც კერძო კაპიტალიზმს ერთნაირ დათმობებს უკეთებდა. საბჭოთა რუსეთში დღეს უცვლელი რჩება არათუ მისი პოლიტიკური რეჟიმი და დიქტატურა, არამედ უცვლელია აგრეთვე მისი ეკონომიური ცხოვრების მთელი წყობა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მუშა ქარხანაზე, გლეხი კოლხოზზე დღესაც ისე მიკრული და მისი მონაა, როგორც გუშინ იყო. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, არავითარი „ტრანსფორმაცია“ არ მომხდარა.

ბოლშევიკები, რასაკვირველია, შეეცდებიან ხალხის ნაყვლეფ რესურსებიდან მსუბუქ და სანოვაგე-სასურსათო ინდუსტრიაში მეტი კაპიტალი ჩადონ და ის განავითარონ, რათა გლეხობა, რომელიც სამხედრო ძლიერების ხერხემალია, მოსალოდნელი კონფლიქტის დროს ზურგს უკან კმაყოფილი ყავდეს. რამდენად ამას შეძლებენ ეს სულ სხვა საკითხია. ხრუშჩოვი უკვე იმუქრება, რომ პარტიის და მთავრობის დადგენილებები ცხოვრებაში არ ტარდება და სოფლად კრიტიკული მდგომარეობა ვერ სწორდება. მაგრამ, რაც მთავარია, კომუნისტებს ეხლა არსად არ უთქვამთ, რომ ისინი მძიმე ინდუსტრიას და სამხედრო სამზადისს ოდნავადაც შეამცირებდენ. წინააღმდეგ, ყოველთვის ამას ქადაგობენ და, ამ უკანასკნელად, ოქტომბრის რევოლუციის 36 წლის თავზე ვოროშილოვი საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური პარტიის სახელით წითელ ჯარისაგან მოითხოვდა მისი ყველა ძალების კიდევ უფრო გამაგრებას და გაძლიერებას. ამ მხრივადაც საბჭოთა კავშირში არაფერი შეცვლილა და ყველაფერი ისევე რჩება, როგორც წინეთ იყო. ასეთია მდგომარეობა შინაურ ფრონტზე.

არ არის აგრეთვე არავითარი სერიოზული ნიშნები, რომ თავისი შინაარსით და მიმართულებით რაიმე გადატეხას და ცვალებადობას ჰქონდეს ადგილი კრემლის საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკაში.

კიდევ 1945 წელს ინგლისის პრემიერი, როგორც ეხლა ეს ირკვევა უკანასკნელი დიდი ომის მისი მოგონებებიდან, ტრუმანისადმი მიმართულ საიდუმლო წერილებში მიუთითებდა საბჭოთა რუსეთის საშიშროებაზე. ჩერჩილი ამ წერილებში ტრუმანს აფრთხილებდა და აღნიშნავდა, რომ ალიები მათი ჯარების რიცხვს თვალსაჩინოდ ამცირებდენ, რუსები კი თავიანთ დივიზიებს ხელუხლებლად სტოვებდენ; იალტის ხელშეკრულებას რუსები სულ სხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევდენ, პოლონეთს ვერაგულად ეპყრობოდენ, ბერლინ-ვენაში მაგრად ფეხს იკიდებდენ, მათ მადას საზღვარი აღარ უჩანდა, ჰიტლერის დამარცხებით სტალინი მის ადგილს იკავებდა და მომავალში საბჭოთა რუსეთის მხრივ თავისუფალ ქვეყნებს დიდი საფრთხე მოელოდა.

ასეთი გაფრთხილების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა ხელთ იგდო მთლიანად პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინია, უნგრეთი, ავსტრია და აღმოსავლეთ გერმანია, ერთ დროს იუგოსლავიაც, ომი გამოიწვია კორეაში და ააფორიაქა მთელი აზიის კონტინენტი. ეხლა კი იგივე დიდი პოლიტიკური მოღვაწე შესაძლებლად სთვლის საბჭოთა რუსეთმა აგრესიულ მიზნებს თავი ვა-

ანექსოს და მასთან საერთო ენა გამონახოს, ზავს და მშვიდობიანობას გზა გაეკაფოს.

კომუნისტები ზავზე და მშვიდობიანობაზე მუდამ და ყველგან ლაპარაკობენ. 1949 წლიდან ამ ლოზუნგის ავტორია თვით მალენკოვი. მუდმივად ზავზე ლაპარაკობენ, რათა ამით მათი ნამდვილი ზრახვები დამალონ და ფარულად ომისათვის ემზადონ.

ფაქტია ერთი: დღეს ომის პირდაპირი საშიშროება ნაკლებია, ვიდრე ეს ორი-სამი წლის წინ იყო. ამის მთავარი მიზეზებია: საბჭოთა რუსეთის და მისი სატელიტი ქვეყნების ცუდი და არასტაბილური მდგომარეობა, ატლანტიკის პაქტის თანდათანობითი გაძლიერება, ის სიძნელენი, რომელსაც რუსეთი ჩინეთში განიცდის და თვით ჩინეთის შინაური მდგომარეობა, მაგრამ ყველა ამ მიზეზთა შორის უმთავრესია — ამერიკის მიერ ატომიური ბომბების დიდი მარაგის დამზადება. ალბათ მკითხველი მოიგონებს ეიზენჰაუერის განცხადებას, რომ დღეს შეერთებული შტატების ატომიური ბომბების მარაგი შეიცავს გაცილებით მეტ ამაფეთქებელ - გამანადგურებელ ძალას, ვიდრე ყველა ის ბომბები და ყუმბარები, რომელნიც გასროლილ იქნა, საერთოდ, ყველა სამხედრო ფრონტზე უკანასკნელი დიდი ომის დროს. საკმარისად საშიში ძალაა, რომ მოსკოვი ჩააფიქროს.

ადვილად გასაგებია, რომ კრემლი მის მთავარ მტრად და მისი მორიგი ზრახვების ხელის შემშლელად ამერიკას სთვლის და ამიტომაც პირველ ყოვლისა ამ უკანასკნელის მოშლას და დანგრევას ცდილობს.

დიდი ომის შემდეგ სტალინი ფიქრობდა, რომ ევროპა ომით განადგურებული და მოქანცული ვერ შეძლებდა რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა აგრესიისათვის. ჩვენ გვახსოვს, რომ მოსკოვი მაშინ ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ ევროპას გარედან არავითარი ეკონომიური დახმარება არ ქონებოდა და მარშალის გეგმა ცხოვრებაში არ გატარებულიყო. ა მ ა ვ ე დროს კრემლი ელოდა ამერიკაში ეკონომიური კრიზისის დაწყებას, რაც შეუძლებლად გახდიდა ევროპისადმი ეკონომიურ-სამხედრო დახმარებას. პოლიტბიუროს მრჩეველი და საბჭოთა ცნობილი ეკონომისტი ვარგა, ამ აზრს არ იზიარებდა და ამტკიცებდა, რომ ამერიკაში კრიზისი მოსალოდნელი არ იყო და მას ადვილად შეეძლო საბჭოთა რუსეთისადმი წინააღმდეგობის გაწევა.

ასეთი ერეტიკული აზრებისათვის ვარგა განდევნილი იქმნა ყველა მისი პოსტებიდან.

მალე მოსკოვმა ბერლინის ბლოკადა დაიწყო, კომუნისტური რაზმები საბერძნეთში აამოძრავა, მოინდომა საფრანგეთისა და იტალიის შიგნიდან აფეთქება გენერალური გაფიცვებით, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდა. 1950 წელს ჩრდილო კორეელები სამხრეთ კორეას შეუსია, აქ კი ტრუმანმა სასწრაფოდ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და კორეაში კომუნისტების წინააღმდეგ რეპრესიებს მიმართა. საბჭოთა ეკონომისტი ვარგა არ შემცდარა, ამერიკამ მოსკოვის აგრესიას შესაფერისად უპასუხა და გულზე ხელდაკრეფილი არ დარჩა. შემდეგ რა ხდებოდა ვიცით.

ეხლა კი იგივე ვარგა „პრავდა“-ს გრძელ-გრძელ ფელეტონებში ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამერიკას ახლო მომავალში მოელის დიდი ეკონომიური კრიზისი: სამხედრო ხარჯების შემოკლება ამერიკაში გამოიწვევს სამრეწველო წარმოების შემოკლებას და მყიდველობითი ძალის შემცირებას; ამერიკის ეკონომიკა მიიმართება გადამეტ წარმოებისაკენ; ეს უკანასკნელი კი უთუოდ გამოიწვევს ფასების დაცემას და ამას კი თან მოყვება მწვავე ეკონომიური კრიზისი.

პოლიტბიუროს პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ ასეთ პირობებში ამერიკა იძულებული იქნება ევროპა მისი ბედის ანაბარად მიატოვოს და ის მათ თოფის გაუსროლელად ხელში ჩაუვარდება. მაშ, მოსკოვს მათთვის ასეთი ხელსაყრელი პერსპექტივის მოლოდინში აუჩქარებელი არაფერი აქვს. მას შეუძლია იცადოს, დრო მოიგოს, ზავზე და მშვიდობიანობაზე რამდენიც უნდა თვალთმაქცურად ილაყბოს, კონფერენციებზე ივაჭროს, საბოტაჟი აკეთოს და, თუ მისი მოლოდინი არ გამართლდა, შემდეგ სამხედრო ძალებს აამუშავებს.

მოკავშირეებმა რუსეთი ლუგანოს ოთხთა კონფერენციაზე მოიწვიეს, მაგრამ მოსკოვმა მიუღებელი წინასწარი პირობები წამოაყენა და კონფერენციაზე მათი მიპატიჟება უარყო. ამ უარყოფამ უდიდესად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის და ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე, კ ა რ გ ი საბუთი მისცა ევროპიული ჯარის შექმნის მომხრეებს და შესაფერისად განაიარაღა ასეთი ჯარის მოწინააღმდეგენი. მოსკოვმა იგრძნო მისი დიდი შეცდომა და სასწრაფოდ შეეცადა მის გამოსწორებას. მან ეხ-

ლია მიიღოს ბერლინის კონფერენციაზე მოწვევა იმ განმარტებით, რომ ამ კონფერენციაზე ის დასვამს საკითხს ხუთი დიდი სახელმწიფოს — ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა რუსეთის და კომუნისტური ჩინეთის საერთო თათბირზე მოსაპატიჟებლად.

არსებითად კი მოსკოვს არ სურს არც ოთხთა და არც ხუთთა კონფერენცია. მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია საერთაშორისო გამწვავებული განწყობილების დაცხრომა და მოგვარება. ასეთი გამწვავებული საერთაშორისო მდგომარეობით კრემლს უნდა მუდამ საშიშროების ქვეშ იყოლიოს ამერიკა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იქ ყველგან კრიზისი გამოიწვიოს და ისინი ერთი-მეორეს დაუპირისპიროს.

საბჭოთა რუსეთი მოწადინებულია **Statu quo** დაიცვას შინ და სატელიტ ქვეყნებში, ყველგან სტაბილური მდგომარეობა შექმნას, რომ მას მომავალში გაუადვილდეს ავანტიურის დასაწყებათ მომენტის არჩევა.

ოთხთა კონფერენციამ უნდა განიხილოს გერმანიის და ავსტრიის პრობლემები და ამათთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ კონფერენციას მოყვეს რაიმე თვალსაჩინო შედეგები. საბჭოთა რუსეთი არ დასთანხმდება გერმანიის ორივე ნაწილში თავისუფალ არჩევნების მოწყობაზე, რათა აქედგან გამოვიდეს გაერთიანებული გერმანიის ერთი მთავრობა, სუვერენული და თავისუფალი მისი სურვილისამებრ იქონიოს კავშირი და დამოკიდებულება ყველა სხვა სახელმწიფოებთან. მოსკოვმა კარგად იცის, რომ თავისუფალ არჩევნებში ყოველგან ის სასტიკად დამარცხდება, რაც თავისთავად შექმნის მეტად ცუდ შთაბეჭდილებას სატელიტ ქვეყნებში და თვით საბჭოთა რუსეთში. ასეთ რამეზე, ცხადია, მოსკოვი არ წავა. სხვა გზით და სხვა პირობებში გერმანიის გაერთიანება კი შეუძლებელი იქნება.

დიდი ხანია ალიები მოითხოვენ რუსებიდან ავსტრიის დაცლას წითელი ჯარებისაგან, ამისათვის მათ შესაფერისი დიპლომატიური მუშაობა და კომპრომისი აქვთ გაწეული. მაგრამ საბჭოთა ჯარების ავსტრიიდგან გაყვანის შემდეგ დაისმება საკითხი ამ ჯარების სხვა სატელიტ ქვეყნებიდანაც გაყვანა, ეს კი მოსკოვის დღევანდელ ანგარიშში არ შედის და ამაზე ის არც დასთანხმდება.

კრემლი, ვითომც, კომუნისტური ჩინეთის საკითხის მოსაგვარებლად ითხოვს ხუთთა კონფერენციის მოწვევას, რათა ჩინეთი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციებში იქნას დაშვებული და მით სხვა ქვეყნებთან დაკავშირებული. მაგრამ კრემლის მესვეურნი არ არიან გულწრფელნი. მათ ყველაზე უფრო სწორედ ჩინეთის საკითხის მოგვარება არ უნდათ და ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ ჩინეთი, როგორც დღეს, ისე შემდეგშიაც იზოლიაციაში დარჩეს, მხოლოდ მოსკოვიდან იყოს დამოკიდებული და სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური ეკონომიური-პოლიტიკური კავშირი არ აღადგინოს. თუ ეხლა რუსეთი ხშირად თხოულობს კომუნისტური ჩინეთის მოწვევას კონფერენციაზე, ეს ხდება ჩინელების მოთხოვნით, რომელთაც მოსკოვი უარს ვერ ეუბნება.

რუსეთს ურჩევნია გვერდით ყავდეს სუსტი ჩინეთი, რომელსაც დახმარების სახით რაღაცას წაუგდებს, ხოლო სპეცების და ტეხნიკების საშუალებით ამ ქვეყნის მართვა-გამგეობას ხელში ჩაიგდებს და მას სატელიტათ გაიხდის.

რუსეთს ეშინია ძლიერი ჩინეთის, რომელსაც შეუძლია დაიკავოს მეთაურის და ხელმძღვანელების ადგილი მთელ აზიაში, რასაც თავისთავად მოყვება ამ ადგილებიდან რუსეთის გავლენის ელიმინაცია. ძლიერი და რუსეთიდან დამოუკიდებელი ჩინეთი აღარ მოითმენს რუსეთის ბატონობას და თარეშს გარე თუ შინა მონგოლიაში, მანჯურიაში და მის რკინის გზაზე, თუ დაირენის და პორტარტურის ნავსადგურებში. რუსეთისათვის კი ეს არ იქნება სასიამოვნო ამბავი.

ყველაფერი ეს ჩინეთს კარგად ესმის და თუ აშკარად და მაღალი ხმით ამაზე ვერ ლაპარაკობს, ეს იმით აიხსნება, რომ როცა მას სხვებთან კავშირი გაწყვეტილი აქვს და მათთან ვერ საქმიანობს, რუსეთი მისთვის დღეს საჭირო და გამოსაყენებელია. შექმნილი მდგომარეობით კარგად სარგებლობს მოსკოვი და დიპლომატიურ კარტებს ათასნაირად ათამაშებს. რუსეთი ცდილობს ჩინეთთან კავშირით და მისი დახმარებით ევროპა და ამერიკა ააფეთქოს, მას სურს პეკინის გზით ჯერ პარიზში მოვიდეს, შემდეგ კი ვაშინგტონში მივიდეს და მსოფლიოს გეგემონი გახდეს.

ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოთ საინტერესოა ცნობა, რომელსაც ცნობილი ინგლისელი კორესპონდენტი — მიდლეტონი იძლევა **New-York Times**-ში. ამ კორესპონდენტის გადმოცემით საბჭოთა რუსეთიდან და სატელიტ-

ქვეყნებიდან არის მოსული ოფიციალური და არა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის შინაარსი მოკლეთ ასეთია:

მალენკოვმა წითელი ჯარის დახმარებით და მასზე დაყრდნობით თავიდან მოიცილა ბერია, რომელიც იყო ხელმძღვანელი საბჭოთა ძლიერი პოლიციისა. ამის შედეგია ის, რომ წითელი ჯარი დღეს რუსეთში გაცილებით მეტ როლს თამაშობს და მეტი გავლენა აქვს პოლიტიკაზე, ვიდრე ეს სტალინის დროს იყო. წითელი ჯარის მეთაურობაში გენერალი ჟუკოვი, რომელმაც უკანასკნელი დიდი ომის დროს დიდი სახელი მოიხვეჭა, ფრიად ნიჭიერ მხედრად ითვლება და მთელ რუსეთში მეტად პოპულარულია. მხედრობის მეთაურობა ფიქრობს, რომ დასავლეთ ევროპაში დღეს არ არის ხელსაყრელი რევოლუციური პოლიტიკური სიტუაცია კომუნისტური პარტიებისთვის, არც სამხედრო მდგომარეობა უწყობს ხელს წითელ ჯარმა რომ აგრესიული პოლიტიკა აწარმოვოს.

სტალინს მის უკანასკნელ წლებში ყოველივე მხრივ გადაჭარბებით ოპტიმისტურ ცნობებს აწვდიდენ საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ და სამხედრო სიძლიერის შესახებ. ასეთ ცნობებმა წააქეზა ის, მან გასწია ერთნაირი რისკი და შეუდგა ბერლინის ბლოკადას და სხვა...

ჟუკოვი და სხვა გენერლები, რომელთაც დიდი ომის ხანაში ნახეს ევროპის სამხედრო ტექნიკური და ეკონომიური შესაძლებლობანი, ნათლად ხედავენ, რამდენად რუსეთი ამ მხრივ სხვებთან შედარებით უკან ჩამორჩენილი და სუსტია. გენერლობის აზრით, ეს ნაკლი უნდა გამოსწორებულ იქნას, თუნდაც ამ გამოსწორებას კიდევ **ათი წელი დასჭირდეს**. გამარჯვების მთავარ ძალათ გენერლები სთვლიან საბჭოთა და ჩინეთის კომუნისტურ ჯარებს და მოითხოვენ ამათი მოქმედების კოორდინაციას. ხელმძღვანელობას ჩემულობენ რუსები, დარწმუნებულნი, რომ ჩინელები მათ უსიტყვოთ მიყვებიან...

ამ ინფორმაციიდან შეგვიძლია დავასკვნათ: სტალინი ჩქარობდა, უნდოდა მალე გამხდარიყო მსოფლიოს დიქტატორი. დღეს კრემლი და მისი გენერლები არ ჩქარობენ, ისინი ანგარიშობენ რისკი არ გასწიონ, თუ საჭიროა, ათი წელიც იცადონ, ემზადონ, მაგრად ფეხი მოიკიდონ, ხელსაყრელი მომენტი აირჩიონ და ისე დაჰკრან

ცხადია, სტალინის და კრემლის ახლანდელი მესვეურთა სტრატეგია ერთი და იგივე რჩება — მსოფლიოში მათი გეგემონია და ბატონობა.

კ. გვარჯალაძე.

დეკემბერი 1953.

## საქართველოს კომუნისტურ პარტიაში

### V.

27-28 ოქტომბერს, თბილისში, შედგა საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომ. პლენუმის სხდომა. პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა მისი მდივანი ვ. მჟავანაძე.

ამ ერთი წლის განმავლობაში კომ. პარტიამ რამდენიმე პირველი მდივანი გამოიცვალა. ჯერ იყო და დაიჭირეს ჩარკვიანი და დანიშნეს მგელაძე, ცოტა ხნის შემდეგ დაიჭირეს ისიც და დანიშნეს მირცხულავა. ახლა მირცხულავაც სადღაც გაქრა და გამოჩნდა ვინმე მჟავანაძე.

სხვა რომ არა იყოს რა — მარტო ეს არის საკმარისი იმის გასაგებათ თუ რა დუღილი და ქანაობაა კომ. პარტიაში და მის მეთაურობაში და რა გახრწნილებას განიცდის ის.

როგორც ვიცით, საქ. კომ. პარტია პოლიტიკისათვის თავს არ იწუხებს. მას არც ეკითხებიან ამის შესახებ. მათ ყრილობაზე, თუ პლენუმებზე, პოლიტიკა სასტიკად აკრძალულია. შინაგანი თუ საგარეო პოლიტიკა მსჯელობის და კრიტიკის გარეშეა. პოლიტიკა კეთდება მოსკოვში და იქიდან მზა-მზარეულად მოსდით ჩეკისტების საშუალებით ასასრულებლად. „უპოლიტიკო“ პლენუმ-ყრილობაზე ამათ შეუძლიათ ილაპარაკონ რამდენიც უნდათ ძროხებზე, ქათმებზე, ხილეებზე, ბალზე, ინკუბატორებზე და სხვა ასეთ თემებზე. მაგრამ იმაზე კი, რითაც ქვეყანა იტანჯება — არც ერთი სიტყვა. ამიტომ არაა გასაკვირი თუ მდივანი მჟავანაძე ისეთი მოხსენებით გამოდის პლენუმზე, რომლის სრული ანგარიში დაბეჭდილია „კომუნისტი“-ს მე-259 და 263 ნომრებში.

როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, კომუნისტური პარტიის მთელი ყურადღება ამ ხანად მიქცეულია მესაქონლეობაზე და მჟავანაძის მოხსენებაც თითქმის ერთიანად მას ეტრიალება.

„მსხვილ ფეხა რქიანი პირუტყვების სულა-

დობა შემცირდა 95.000 სულით, აქედან ძროხების სულადობა — 87,7 ათასი სულით"—აცხადებს ის მელანქოლიურად და იქვე უმატებს მრისხანეთ: საჭიროა უახლოეს 2-3 წელიწადში აღმოვფხვრათ ეს არანორმალური მდგომარეობა"-ო.

მაგრამ, მარტო სულადობის შემცირება როდი აწუხებს ბატონ მდივანს. ის კიდევ უფრო იმაზე სწუხს, რომ დარჩენილმა ძროხებმაც თურმე წველის უკლეს. „შარშან—ამბობს ის—თითო ძროხა იწველოდა 418 კილოგრამს, წელს კი — 347 კილოგრამს"-ო; და ასეთი „კატასტროფიულ მდგომარეობას" ადგილობრივი ხელმძღვანელნი თურმე უყურებენ სრულიად გულგრილად. „ხელმძღვანელნი არ სწავლობენ ამ ჩამორჩენის მიზეზებს, არ იღებენ ზომებს ამ მიზეზების აღმოფხვრისათვის"-ო — მიაზობს ის. ხელმძღვანელობის საკითხის მოგვარება არც ისე ძნელი საქმეა — დატუქსავ, გადააყენებ და ბოლოს დაიჭერ კიდეც. მაგრამ არის ერთი რამ, რომელიც ძალიან აფიქრებს როგორც მომხსენებელს, ისე მთელ პლენუმს და არც იციან თუ როგორ მოუარონ მას. **ესაა ძროხების ბერწიანობა.** „კამოს სახელობის კოლმეურნეობაში— ამბობს ის — 1953 წ. 215 ძროხიდან ბერწი დარჩა 79, ხოლო 1952 წ. 60 ძროხიდან—40"-ო.

რით აიხსნება ასეთი საშინელება? ძროხების საბოტაჟით თუ კოლმეურნეთა დოყლაპიობით? თუ კიდევ უფრო ღრმაა ამის მიზეზი?

ბ-ნი მჟავანაძე დიდი პათოსით იცავს და ამტკიცებს, რომ ძროხები აქ არაფერ შუაშია, დამნაშავენია მხოლოდ და მხოლოდ პარტიისა და მეურნეობის მეთაურები, ე. ი. იცავს ძროხებს და ბრალს სდებს ადამიანებს. „ყოველივე მოწმობს იმას — ამბობს ის — რომ ადგილობრივი პარტიული და სასოფლო-სამეურნეო მეთაურობა ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებებს ბერწიანობის ლიკვიდაციისათვის"-ო. თვითონ კი მეტად ფართე და ღრმა ცოდნას იჩენს ამ სფეროში და უმთავრეს „პრაქტიკულ ღონისძიებათ" მიაჩნია „დაგრილების კამპანიის დროულად ჩატარება". მაგრამ არ განმარტავს თუ ვინ უნდა აწარმოვოს ეს „დაგრილების კომპანია"—პარტიულმა ხელმძღვანელობამ თუ კოლმეურნეობათა მეთაურობამ, თუ ორივემ ერთად. ამას კი საბჭოთა პირობებში შეუძლია გამოიწვიოს დიდი გაუგებრობა ქომპობის ნიადაგზე... დაბოლოს პარტიისა და პლენუმის სახელით ის ითხოვს გადაჭრით: „თუ არის 100 ძროხა, ხბოც 100 უნდა გაზარდოთ"-ო. როგორ შეასრულებენ ამ ბრძანებას კოლმეურნენი —ალბათ გავიგებთ მომავალ ყრილობაზე.

გზა და გზა მომხსენებელი თავის აუდიტორიას, გონების ასამაღლებლად, უხსნის, რომ „რძის საერთო გამოვლინების ზრდის წყაროა დედაპირუტყვის სულადობა"-ო და უმატებს: „ზოგიერთი ფიქრობს, თუ ჯოგში რქიანი პირუტყვია, ეს უკვე რძე არის"-ო და ავტორიტეტულად განმარტავს: „რქიანი პირუტყვი შეიძლება იყოს, მაგრამ რძე იქნება თუ არა ეს არ ვიცით"-ო.

რას ნიშნავს ეს „არ ვიცით?" მაგ. რქიანი პირუტყვია ხარიც, მარა რძეს რომ არ იძლევა—ეს არ უნდა იცოდეს ცენ. კომიტეტის მდივანმა?! შეიძლება იცის კიდეც, მაგრამ, რადგანაც ლენინ - სტალინის ნაწერებში არაფერი სწერია, ამის შესახებ, ვერ ბედავს აიღოს თავისთავზე პასუხისმგებლობა და ამბობს ორჭოფულად: „არ ვიცით!".

ეს ახალი მდივანი მეტად გულჩვილი კაცი უნდა იყოს. ის დიდი მწუხარებით აღნიშნავს, რომ „ბევრი პირუტყვი ჯერ კიდევ პრიმიტიულ, კეთილმოუწყობელ ბინებშია მოთავსებული. ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ამბროლაურის რაიონებში მსხვილფეხა პირუტყვების 50 პროცენტზე მეტი უზრუნველყოფილი არ არის ბინებით, ხოლო გორის, ქარელის, თიანეთის, ქუთაისის და გეგეჭკორის რაიონებში ბინები 30 პროცენტს ძლივს აქვს. ამოცანა ის არის, რომ უმოკლეს ვადაში შევასრულოთ პირუტყვების ბინების მშენებლობის გეგმა და უზრუნველვყოთ პირუტყვების მაძღარი გამოზამთრება"-ო.

ბედნიერი ძროხები! მათზე მაინც ზრუნავს კომუნისტური პარტია.

მაგრამ რა იქნებოდა ერთი-ორი სიტყვა კოლმეურნეებზე მზრუნველობისათვისაც ეთქვა ბ-ნ მდივანს!

მოათავა რა ბატონმა მდივანმა თავისი მეტად შინაარსიანი მოხსენება ძროხებზე — გადავიდა ქათმებზე. „პარტიის ცენ. კომიტეტის პლენუმმა —აცხადებს ის—საჭიროთ მიაჩნია კოლმეურნეებს ჰქონდეთ მეფრინველეობის ფერმა, სადაც ეყოლებათ, სულ ცოტა 100 - 120 კვერცხმდებელი ქათამი, ნათესის ყოველ 100 ჰექტარზე, ზონების გათვალისწინებით. ჩვენ გვაქვს 25 საინკუბატორო სადგური, რომელშიდაც ერთდროულად აწყობენ 1.900 ათას კვერცხს და ყოველწლიურად აძლევენ კოლმეურნეებს დიდი რაოდენობით წიწილებს. მაგრამ კოლმეურნეობებ-

ში მათი გაზრდის საქმე ჯერ ცუდად არის დაყენებული, არის დიდი დანაკარგი. მაგ. სოფელ ნოსტეს კოლმეურნეობაში ნახევარზე მეტი დაიღუპა და აქტებით გააფორმეს ასე: „წიწილებს დედები არ ყავთო". უფრო სწორი კი იქნებოდა ეთქვათ: კარგი პატრონი არა ყავთ"-ო. კიდევ უფრო სწორი იქნებოდა ეთქვათ: ბოროტი პარტია გვყავს მეთაურათო — დაუმატებდით ჩვენ.

რატომღაც მომხსენებელი მეტის-მეტი მოკრძალებით ეპყრობა იხვებს და ბატებს და მათ, ნამდვილი სახელის ნაცვლად, — „წყალ-მცურავ ფრინველს" უწოდებს. „თუ რომ კარგად მოვაწყობთ წყალ-მცურავ ფრინველის (იხვი და ბატი) მოშენებას, ამ ფრინველით შეიძლება შევასრულოთ ხორცის ჩაბარების გეგმა"-ო.

იმას კი არეუბნება კოლმეურნეებს—მოაშენეთ ეს ფრინველი და როცა ხორცი არ გექნებათ — ეს მიირთვითო; არა, ეს სახელმწიფოსთვის ხორცის მაგიერ ჩასაბარებლად გამოდგებაო. და რაკი სახელმწიფოსათვისაა განძრახული — ცხადია, მისდამი მოპყრობაც შესაფერი უნდა იყოს. აქედან — საპატიო სახელი: „წყალ მცურავი ფრინველი".

ცხოველ - ფრინველებიდან მომხსენებელი გადადის ეკონომიური ცხოვრების სხვა დარგში. მაგრამ ვერსად ვერ ხედავს რაიმე სანუგეშოს. იმეორებს პირწმინდად მის წინამორბედებს: იგივე ჩამორჩენა, დაბალი მოსავლიანობა, უყურადღებოთ მიტოვებული რაიონები და სხვა და სხვა.

პლენუმმა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიიღო მაღალ-ფარდოვანი სიტყვებით შედგენილი ჩვეულებრივი დადგენილებანი. ახალია მხოლოდ ამ დადგენილებათა ბოლო. წინეთ ის თავდებოდა „მშობლიურ სტალინისადმი" სიტყვის მიცემით, რომ გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ. ახლა კი „საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომ. პლენუმი პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომ. პარ. ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს ყველა მეშაკები მიაღწევენ, რომ შესრულდეს მისი სექტემბრის პლენუმის დადგენილებანი" და სხ...

საბრალო კომუნისტები! დაგვპირდნენ „მსოფლიო კაპიტალიზმის" დანგრევას და დაათავეს ძროხების ბერწიანობის წინაალმდეგ ბრძოლით! რა სასაცილოთ დაიჩუტა მათი გაბერილი გუდა! ღირდა კი ამისათვის თავის სამშობლოს ქვეყნის დაპყრობა და მისი ასე ულევთოთ გასრესა უცხო ჯარებით?!..

გრ. ურატაძე.

P. S. 29 ოქტომბერს შედგა უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც გადააყენა საბჭოს თავმჯდომარე ცხოვრებაშვილი, „მინისტრთა საბჭოს" თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე, „მინისტრები" ბარამია, ზოდელავა, ქიაურელი. დანიშნეს სულ ახლები.

სრულიად უფერულად ჩატარდა 7 ნოემბრის დღესასწაული. პარტიის პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ სულ უცნობი პირები, არც ერთი ძველი კომუნისტი. ისინი ალბათ „დღესასწაულობენ" ამ დღეს ჩეკის რომელიმე სარდაფში. გრძელი სიტყვა წარმოსთქვა მხოლოდ წითელი ჯარების უფროსმა, რომელიც ფაქტიურად კავკასიის ნამესტნიკია.

იმავე გაზეთიდან ვტყობილობთ, რომ ბერიას დაცემის შემდეგ მოსკოვში გადაუყენებიათ მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი გენ. არტემიევი, მოსკოვის ქალაქის კომენდანტი გენ. სინილოვი, კრემლის კომენდანტი—გენ. სპირიდონოვი, მოსკოვის მილიციის უფროსი კრიანოვი. ეს ცვლილებები უფრო სხვა ელფერს აძლევს ჯარის როლს მოსკოვში მომხდარ ამბებში, ვინემ წინეთ გვეჩვენებოდა. არ ვიქნებით შემცდარი თუ ვიტყვით, რომ უნდა ველოდოთ ფართო „წმენდას" ჯარის მეთაურობაშიაც...

გრ. ურ.

## 1453 - 1953

ხუთასმა წელმა განვლო ათასწლოვან ვიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ. მსოფლიო მნიშვნელობის ეს თარიღი გვმართებს აღინიშნოს ქართველების მიერაც იმ დიდი შედეგების მიხედვით, რომლებიც წილადხვდა საქართველოს სამეფოს ვიზანტიის წაშლისა გამო გეოგრაფიულ რუკიდან.

პირადათ მე არ ვაპირებდი ამ თარიღის აღნიშვნას, ვინაიდგან არც ისტორიკოსი ვარ და მით უმეტეს არც ვიზანტოლოგი. გადმოხვეწილობა-

ში მოიპოვებიან სამისო პიროვნებანი, მაგრამ აი წელიწადის ვადის, ხოლო არცერთ ქართულ გამოცემაში არ შემხვედრია მათი ავტორიტეტული ნაწერი ამ საგანზე.

ჟამთა დინაში ვიზანტიას (ეს სახელწოდება მას მიეკუთვნა ბერძნის ქრისტე-ერით მოდგმის „მეგარის" წარჩინებულ სპასპეტის **ვიზანსისაგან,** რომელიც ნახევარკუნძულ კორინთოდან თავისი მხედრობით გადმოვიდა ბოსფორზედ და შემდგომ დაარსებულ კონსტანტინოპოლის ნახლობლად დაამყარა ახალშენი. — ასევე თურქსელჯუკთა იმპერია თურქეთი პარალელურად იწოდებოდა ოსმალეთად, ალტაიდან მრავალრიცხოვან ჯარით გადმოსულ **ოსმანის** სახელით. ქემალ-ფაშა-ათა-თურქმა, როგორც ცნობილია, აღკვეთა ეს სახელწოდება) აღმოუჩნდნენ უფრო მეტი მტრები, ვიდრე მოკეთეები. ვიზანტიისადმი საწინააღმდეგო განწყობილება პირველ ხანებში აღისახა რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, როცა თეოდორე დიდმა 395 წელს დაჰყო ტერიტორიულად მეტის-მეტად გაფართოებული იმპერია ორ ნაწილად. რასაც ჟამთა სვლაში მოჰყვა იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილის ჯერ ფაქტიური და შემდეგ იურიდიული გამოყოფა.

საუკუნეთა მანძილზე ვიზანტიას ყოველმხრივი პირველობა ჰქონდა, რაც ბუნებრივი და საგულისხმოა, თუ გავიხსენებთ, რომ მის განუყოფელ ნაწილს ძველთაგანვე სახელგანთქმული, მეცნიერებისა და ხელოვნების ბურჯი — ელლადა შეადგენდა. ელლადა: მაშასადამე, ომერი, სოკრატი, პლატონი, არისტოტელი, პითაგორი, ევრიპიდი, ქსენოფონტი, სტრაბონი, ეროდოტე, პლუტარხი, დემოსთენი და უამრავნი სხვა წარჩინებულნი სხივოსანნი...

1947 წელს ათენის უნივერსიტეტის ასი წლის დაარსებისა გამო სორბონში შესდგა სადღესასწაულო აქტი, რომელზედაც პარიზელის უნივერსიტეტის რექტორმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: კაცობრიობამ უნდა მუხლი მოიდრიკოს ელლადის წინაშე იმ სწორუპოვარი ღვაწლისათვის, რაიცა ამ ქვეყანამ მას მიუძღვნა მეცნიერებისა ფილოსოფიათურთ, პოეზიისა და ხელოვნების ყოველ დარგში!

მოწინააღმდეგები და მტრები ვიზანტიას გაუმრავლდნენ განსაკუთრებით იმ დროიდან, როცა 870 წელს დაიწყო განხეთქილება რომის პაპის ნიკოლოზ პირველისა და კონსტანტინოპოლის პატრიარხის ფოტიოსის შორის, რასაც მოჰყვა 1054 წელს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა სრული განცალკევება პაპის ლეონ მეცხრისა და კონსტანტინოპოლის პატრიარხის მიხეილ კერულარის მართებლობის დროს. ეს განხეთქილება შემდეგში თანდათანობით გაღრმავდა და აღისახა მრავალ განსხვავებებში, რომლებიც ამჟამათ განაშორებენ კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას ჩვეულებათა და თვით დოგმატიურ საკითხებში.

ამ საგანზე ღირს შეჩერება, რადგანაც ეკლესიურ შფოთს თანდაერთო ვიზანტიის ერთგვარი იზოლაცია. რომის პაპა, აღჭურვილი სუვერენულ უფლებებით, ერთსადაიმავე დროს იყო იტალიის საკმაო დიდი ნაწილის მეფე და, თუ მხედველობაში გვექნება ევროპის სახელმწიფოთა და ხალხთა იმ დროინდელი აბსოლუტური მინდობილობა პაპის ტახტისადმი, ადვილი წარმოსადგენი ხდება ის გაჭირვებანი, რაიცა ვიზანტიას ჰხვდა წილად პოლიტიკურადაცა, ეკონომიურადაც და ეგრევე სხვა. ისტორიული ცნობების მიხედვით, როცა ჯვაროსნები შეიჭრნენ კონსტანტინოპოლში 1204 წელს, მათ მიერ ჩადენილი საშინელებანი ერთმორწმუნე ქრისტიანებისადმი გაცილებით აღემატებიან ორი საუკუნის შემდეგ მომხდარ მუჰამედ მეორის ჯარისაგან ვიზანტიელთა რბევას...

ამავე ხანებში რომის ტახტი უყურადღებოთ არა სტოვებდა აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებს იმ მიზნით, რომ ისინი გამოეყო ბერძნული „სქიზმისაგან". დაარსებული იქმნა საგანგებო შტატი მისიონერებისა, რომლის ერთი ნაწილი პირველად ეწვია საქართველოსაც რუსუდანის მეფობის დროს (1212 - 1239). მონღოლთა მოსალოდნელ შემოსევის შიშით რუსუდანმა მიჰმართა პაპს გრიგორ მეცხრეს სამხედრო შემწეობისათვის, მან კი შემწეობის მაგიერ მისიონერები გამოუგზავნა ქართული ეკლესიის, როგორც „ნეიტრალისა" წინადადებებში, ბერძნული სქიზმისაგან გამოყოფისათვის. კათოლიკურმა ბერებმა შემდგომ საუკუნეებში მაგრათ მოიკიდეს ფეხი საქართველოში; მათ დაუცხრომელ პროპაგანდისა და აგრეთვე სხვა ზომებსა და საშუალებებს შედეგად ჰქონდა სხვადასხვა კუთხეში ქართველთა გაკათოლიკება; მათსავე გავლენას უნდა მიეწეროს ის ფაქტიც, რომ საქართველოს მეფის ალექსანდრე პირველის (1414 - 1442) ბრძანებით გაიგზავნა საგანგებო დესპანი ფერარო - ფლორენციის ეგრეთ წოდებულ უნიატურ კრებაზე (1438).

საქმე არის ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ

ამ კრებაზე: ის მოწვეულ იქმნა მაშინ, როცა ვიზანტია, შინაგან რღვევისა და გარეგან მტრობისა გამო ძალამიხდილი, პირისპირ იდგა მოზღვავებულ ურიცხველ ოსმალთა ჯარის წინაშე, რომელმაც უკვე მილეწ-მოლეწა მცირე აზიის ხალხი, ნიშანში კი ამოღებული ჰქონდა კონსტანტინოპოლი და ბოსფორი - დარდანელის სრუტეები. სახელმწიფოს გადასარჩენათ ხელისუფლება იძულებული გახდა მიემართა დახმარების მისაღებათ თავის მტერ-მოყვარეთათვის ევროპაში.

თუ სახეში გვექნება პაპის სამეფოს იმჟამინდელი უბადლო გავლენა ევროპის სახელმწიფოებზე, ადვილად წარმოვიდგენთ, რა პირობა უნდა შეესრულებინა ვიზანტიას სამხედრო გამოქომაგების მისაღებათ: აუცილებელი იყო „სხიზმის" უარისყოფა და პაპის პრიორიტეტის აღიარება. ამ გზითვე ილტვოდა ვიზანტიის გამოჩენილი მღვდელმთავარი ისიდორე, ადრევე გაკათოლიკებული, ამასთანავე დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ხოლო გულგრილი დოგმატიურ საკითხებისადმი, ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ზემოხსენებულ კრებისა. ეს ისიდორე უნიის გავრცელებას ლამობდა რუსეთშიაც, სადაც მან კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტის ხარისხი მიიღო, მაგრამ მალე აყრილ იქმნა ამ ხარისხიდან და გაძევებული. გარდაიცვალა რომში და ჰმარხია ათორმეტ მოციქულთა ეკლესიაში; საინტერესო წარწერა მის საფლავზე: „ეპისკოპოსი უწმიდესი კოლლეგიისა, კარდინალ-ლეგატი ისიდორე, კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი".

მოლაპარაკება უნიისათვის დაიწყო იმპერატორ ემმანუილ პალეოლოგის დროს, გარდამწყვეტი მიმართულება კი მიიღო მისი ძის იოანნეს მეფობისას. ვიზანტიაში ჰგრძნობდნენ, რომ ვერ შეაჩერებენ და ვერც გაუძლებენ ოსმალთა დიდძალ ჯარის მოწოლას, ამიტომ მმართველი წრეები არ დაერიდნენ დათმობას რჯულის საკითხებშიაც კი, ოღონდ გადაერჩინათ სახელმწიფო დასავლეთის მეშვეობით.

ნაძალადევმა უნიამ ვერ მოიცა ნაყოფი: ვერც პოლიტიკური და სამხედრო და, როგორც შემდეგში გამოირკვა, ვერც ეკლესიური. უნიის მომხრე იმპერატორი იოანნე ფერარო — ფლორენციის კრების დამთავრების შემდეგ, მის მომყოლს იმპერატორ კონსტანტინეს უნდა განეგრძო აღებული ხაზი. ის გამეფდა 1449 წელს, როცა დიდი ნაწილი ვიზანტიისა უკვე ოსმალთა სათარეშოთ იქცა. ეს მეფე საქართველოს სიძე იყო: მეუღლეთ ჰყავდა საქართველოს მეფის გიორგი მერვის ასული. მხნე ვაჟკაცათ და გამჭრიახ პოლიტიკოსათ ჰსახავენ მას ისტორიკოსები...

კონსტანტინე იმპერატორმა ოთხი წელიწადი ამაოთ უცადა ევროპის დახმარებას. 1453 წლის დასაწყისს 300.000-ნი ოსმალთა ჯარი მუჰამედ მეორის სარდლობით მიებჯინა კონსტანტინოპოლს. ვიზანტიას დაეხმარნენ მხოლოთ გენუეზელები და პიზანელები 30.000 კაცით; ამ სავაჭრო ქალაქების მიზანი იყო კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დაცვა თავის საკომერციო აღებმიცემობისათვის.

1453 წლის 29 მაისს დაეცა კონსტანტინოპოლი. იმპერატორი კონსტანტინე ერთმუჭა მხედრობით გმირულად იცავდა სასოწარკვეთილ ქალაქს და გმირულადვე განიგმირა მის სიმაგრეებზე.

დამთავრდა ვიზანტიის საუკუნოვანი ისტორია. ის იქცა ჯებირათ, რომელმაც საშუალება არ მისცა ამხედრებულ ისლამს გაეფართოებინა თავის მფლობელობა დასავლეთის მხრით. ვიზანტიამ თავისი წაქცევით გადაარჩინა ევროპა, რომელიც მას ასე უმადუროთ მოეპყრო და არ გაუწოდა საშველათ ხელი კარზემომდგარ საშიშროებისას.

წაიქცა ვიზანტია და საქართველოსაც გამოეცალა დასავლეთის ალაყაფი. სამხრეთით აღზევებულ სპარსეთს მიემატა საქართველოს მეორე მტერი, უფრო ძლიერი და უფრო საშიში. შეცვლილ მდგომარეობას უნდა შეეცვალა საქართველოს საერთაშორისო ძიებანიც და მისწრაფებანიც ერისა და სახელმწიფოს თვითმყოფობის გადასარჩენათ, მაგრამ ამისი განხილვა სცილდება წერილის საგანს...

რ. ინგილო.

## კორეის ტყვეთა შორის

კორეაში, დაზავების დროს, ათასეულმა ჩინელმა და ჩრდილო-კორეის ტყვეებმა უარი განაცხადეს თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებაზე. ამის გამო კომუნისტებმა მოითხოვეს დაჟინებით, რომ მიეცათ ნება მათთან დაკითხვა-საუბრის გასამართავად. მოკავშირეებმაც დაუთმეს და საამისო წესიც იქნა შემუშავებული.

თავისუფალი ქვეყნის გაზეთები მეტად და-

ნტერესდენ ამ კითხვა-საუბრებით და, განსაკუთრებით დიდმა გაზეთებმა, საგანგებო პირებიც წარგზავნეს იქ დასასწრებლად. ამ დაკითხვა-საუბარს ამერიკელმა ჟურნალისტებმა დაარქვეს „ტვინის გარეცხა".

გაზეთ „World Repart"-ში მოთავსებულია ერთი ასეთი დაკითხვა - საუბრის სრული ანგარიში. გაზეთის თანამშრომელი დასწრებია 930 ტყვე ჩინელის დაკითხვას, რომელთაგან მხოლოდ 19 განუცხადებია დაბრუნების სურვილი.

დაკითხვა - საუბარი სწარმოებს ცალკე ბარაკში, სადაც ინდოელ ჯარისკაცს შემოჰყავს ტყვეები თითო - თითოთ. შემოვა თუ არა ტყვე, ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელი მიუთითებს ორ კარზე და ეუბნება: ეს კარი შეგიყვანს ისევ იმ ბარაკში, საიდანაც მოდი: ეს ნიშნავს, რომ არ გინდა დაბრუნება. მეორე კარი გაგიყვანს გარეთ, სადაც დაგხვდება ავტომობილი, ჩაჯდები და წახვალ სამშობლოში. ე. ი. სრულიად განთავისუფლდები. არჩევანი შენზეა — რომელ კარშიაც გინდა იმ კარში გახვალო.

თვით დაკითხვა - საუბრის პროცედურა აწერილია ასე:

**შემკითხველი - კომუნისტი.** (ტყვეს) ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ამ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ბევრი ტანჯვა - წვალება განიცადეთ. ახლა თქვენ თავისუფალი ხართ და სამშობლომ დაგვავალა ჩვენ მივესალმოთ თქვენს შინ დაბრუნებას. ჩვენ ვიცით რომ გაერთიანებული ერების სარდლობა თქვენ ცუდად გეპყრობოდათ და გატყუებდათ.

**ტყვე.** მე არავინ არ მატყუებდა, გარდა მაოცზედუნისა. მაგრამ აწი თქვენ ვეღარ შესძლებთ ჩემს მოტყუებას.

**კომუნისტი.** ჩვენ არ გატყუებთ თქვენ. შეხედეთ, ამ კარების უკან სდგას ავტომობილი წითელი ბაირაღით, რომ მიესალმოს შენს დაბრუნებას სამშობლოში. თუ ახლავე წამოხვალ — საღამოს უკვე კესონში იქნებით.

**ტყვე.** მე არ მინდა მონობაში წამოვიდე. მე გამოვიქეცი თქვენი ჯარიდან, რადგან არ მინდოდა ვყოფილიყავი თქვენი „საზარბაზნე ხორცი".

**კომუნისტი.** მოიქეცით ჭკვიანურად. მოიგონე როგორ კარგად გეპყრობოდა შენ „სახალხო ჯარი". ჩვენ ვიცით, რომ ამერიკელების ლაგერში თქვენ გაძლევდნენ სადილად მხოლოდ ნახევარ ჯამ ბრინჯს.

**ტყვე.** შენი საქმე არაა მე ნახევარი ჯამი მქონდა თუ მეოთხედი. მე მირჩევნია ვიყო მშიერი, ვინემ ჩავარდე თქვენს მონობაში. დაანებე თავი ყბედობას. მე მინდა დავბრუნდე ჩემს ბარაკში.

**კომუნისტი.** შენ დაჰყავი ტყვეობაში ორ წელიწადზე მეტი, ეწეოდი მძიმე მუშაობას და ისევ გინდა იქ დარჩე? თუ გახვალ ამ კარში იქნება თავისუფალი ადამიანი, რომელსაც წინ დიდი მომავალი აქვს.

**ტყვე.** დაანებე თავი მაგ სიცრუეს. მეყოფა შენი სისულელეები. მე ვბრუნდები ჩემს ბარაკში, იქიდან გადავალ ფორმოზაზე და შევხვდებით ერთმანეთს მატერიკზე. გაიგე?

**კომუნისტი.** შენ არ ლაპარაკობ გულით. შენ გიბრძანეს ასე ილაპარაკო.

**ტყვე.** (დგება) მე არავის ბრძანებას არ ვიღებ, მე დიდი ხანია მივიღე გადაწყვეტილება. შენთან წამოსვლით მე მომელის უეჭველი სიკვდილი. ეს შენც კარგად იცი, მაგრამ ვერ ბედავ თქმას.

**კომუნისტი.** დაჯექით გეთაყვა. ნუ ღელავთ. ჩვენ ხომ ორივე ჩინელი ვართ და გვიყვარს ჩვენი სამშობლო. ფორმოზას მალე გავანთავისუფლებთ. იქ სასიკვდილოთ განწირული რეაქციონური რეჟიმია. რატომ მაინცა და მაინც მკვდარ რეჟიმს უნდა ჩაებღაუჭო?

**ტყვე.** არ მინდა თქვენთან, გამცემლებთან, ერთად ვიჯდე. თქვენ უწოდებთ თავს ჩინელს? ჰკითხეთ თავის-თავს—ჩინელი ხართ თქვენ, თუ საბჭოების ძაღლები!

**კომუნისტი.** გთხოვთ ასეთ სიტყვებს მოერიდოთ. მე ვფიქრობ თქვენ ცოლიც გყავს და შვილებიც. იფიქრეთ იმაზე. თქვენი ნათესავები გელოდებიან თქვენ მოუთმენლად. ნუ თუ თქვენ ისეთი გულ-ქვა ხართ, რომ დაივიწყეთ ისინი?

**ტყვე.** მთელი ჩემი ოჯახი ამოხოცილია თქვენ მიერ. ეს მე უკვე დიდი ხანია ვიცი. მარა მე კიდევ ცოცხალი ვარ. თავისუფლება — აი რა მინდა მე და თქვენ კი ამას არ იძლევით.

**კომუნისტი.** გაჩუმდი ტყვევ! შენ ამცდარი ხარ სწორ გზას. (დგება, მიდის თავის კოლეგებთან და მაგრად არტყამს ხელს მაგიდაზე. კოლეგები ერთმანეთს გადახედავენ).

**ტყვე.** კიდევ უფრო მაგრად არტყამს მაგიდაზე და უმატებს: ასე გირტყამთ თქვენ გამცემლებო!

**კომუნისტი.** დამშვიდდით. ჩვენ არ გვაქვს ცუდი ზრახვები შენს მიმართ. ჩვენ გვინდა შენ იცოდე, რომ ჩვენმა სარდლობამ შენი და შენი ამხანაგების განთავისუფლების გულისათვის მოაწერია ხელი დაზავებაზე.

**ტყვე.** შენ ისევ სტყუი. თქვენ ხელი იმიტომ მოაწერეთ, რომ მეტი აღარ შეგეძლოთ და უფრო კი იმიტომ, რომ ასე უნდოდათ რუსებს. მე დამამცირებლად მიმაჩნია ველაპარაკო რუს საბჭოების ძაღლს მაო-ცზე-დუნის ლეკვებს.

**კომუნისტი.** ჩვენთვის ძნელია ასეთ პირობებში გაგაცნოთ ის დიდი მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს სამშობლოში და წინ კიდევ მოსანიშნავი მომავალი.

**ტყვე.** რაც არ უნდა მელაპარაკო - მე მივდივარ ფორმოზაზე. ჩემი ლიდერი პრეზიდენტი ჩან-კაი-შეკია. ფორმოზა ჩემი სამშობლოა და ჩინეთის რესპუბლიკა — ჩემი ქვეყანაა. და რაც ყველაზე უფრო ძვირფასია — ფორმოზაზე არ არიან ბანდიტები.

**კომუნისტი.** ვილაპარაკოთ სხვა რამეზე. ჩვენ გვინდა გითხრათ რაღაცეები შენს საკარგებლოთ და დარწმუნებული ვართ შენ დაბრუნდები სამშობლოში კარგი ცხოვრებისათვის. ჩვენ გვაქვს შენთან შენი სახლიდან წერილი. პენ-ტეხოს წერილი და გვინდა შენ ის წაიკითხო.

**ტყვე.** გაჩუმდით. მე არ მინდა მოვისმინო მაგ... (მაგარი გამოთქმა) :ეს არის წერილი ერთი უმთავრესი სამხედრო დამნაშავის.

**კომუნისტი.** შენთან ლაპარაკიდან ჩვენ მივიღეთ შთაბეჭდილება, რომ შენ შეპყრობილი ხარ შიშით. გარწმუნებთ, არაფერი საშიში შენ ჩვენთან არ გაქვს.

**ტყვე.** მე გავათავე შიში, როცა გაერთიანებულ ერთა სარდლობას ჩავბარდი. მე წავალ ფორმოზაზე.

**კომუნისტი.** ფორმოზა ამერიკის იმპერიალიზმის ერდგული ძაღლია.

**ტყვე.** ასე მხოლოდ თქვენ ფიქრობთ, თქვენ რუსების საბჭოების ლაქუცა ძაღლებო.

**კომუნისტი.** სულგრძელი სახალხო მთავრობა ყოველთვის მზადაა აპატიოს იმათ, ვინც დაიბნა, მარა დაბრუნდება. ჩვენ კიდევ არა ერთხელ შევხვდებით აქ ერთმანეთს. დაბოლოს შენ გადასწყვეტ დაბრუნებას და ინანებ, რომ ასე გვიან გადასწყვიტე.

**ტყვე.** შენი საქმე არაა მე ვინანებ თუ არა. მე მართლაც შეგხვდები შენ, მარა შეგხვდები მატერიკზე. დიდი ხნის ცდა არ დაგჭირდება.

**კომუნისტი.** მთელ შენს სიცოცხლეში სანანებლად გექნება, თუ არ მიიღებ ჩვენს რჩევას. თქვენ თვით რომ ეს არ გიყვარს, ის არ მოგწონთ მარა გიყვარს თუ არა შენი სახლი, შენი ცოლი, შენი შვილები?

**ტყვე.** ჩვენ ყველა ვფიქრობთ ჩვენს ოჯახზე. მარა ჩვენ არ მივალთ მათთან შენთან ერთად. ჩვენ დავბრუნდებით და ვიხსნით მათ ფორმოზიდგან. მე თვითონ ვნახე და სხვებისაგანაც მოვისმინე თუ როგორ ხოცავთ ხალხს თქვენ ბანდიტებო, როგორ მარხავთ ცოცხლათ მიწაში. გვეყოფა თქვენი სიცრუე, ჩვენ დავბრუნდებით შინ უფრო გვიან, გველოდეთ.

მიდის თავის ბარაკში.

მკითხველი ხედავს, რომ მიუხედავად ომის და ტყვეობის საშინელებისა, ჭეშმარიტი პატრიოტი არჩევს ლაგერში დარჩენას, ვინემ „კომუნისტური სამოთხეში" ავტომობილით დაბრუნებას. კომუნისტებისადმი ზიზღი და სიძულვილი იმდენად დიდია, რომ დამკითხველი კომუნისტების ვერავითარმა შეპირებამ თუ ტკბილმა სიტყვებმა ვერ მოალბო ტყვეს გული. და რომ დამალონ ყოველივე ეს — ყველა ენაზე სწერენ: ამერიკელები აშინებენ ტყვეებს, ვინც არ ილაპარაკებს ისე, როგორც მათ სურთ — ჰკლავენო. და იმას კი არ ამხელენ, რომ ყველა ეს ტყვეები იმყოფება ნეიტრალური სახელმწიფოების მფარველობის ქვეშ და რომ დაზავების შემდეგ ამერიკელებს მათთან არავითარი კავშირი აღარ აქვთ..

**იგი.**

## პ რ ე ს ა

მშვიდობიანობას მოწყურებული კაცობრიობა, მიუხედავად უამრავი მწარე გამოცდილებისა, მაინც იმედით შეჰყურებს საბჭოებთან მორიგ მოლაპარაკებას, რომელიც თუ მოსკოვს მოეპრიანა, ახლო ხანში უნდა გაიმართოს ბერლინში. ყოველგვარი მავნე ილუზიის გასაქრობად და შეერთებული შტატების პოზიციის გასაშუქებლად საგარეო მინისტრი დალესი 28 დეკემბერს აცხადებდა: „ჩვენ არასდროს არ დავსთმობთ იმას, რაც დასათმობი არაა"-ო. ჟურნალ „Nations Besiness"-ში მოთავსებულია მისი წერილი, სადაც ვკითხულობთ:

„თავისუფალი მსოფლიოს ხალხმა იცის და საბჭოთა მეთაურობამაც უნდა იცოდნენ — რომ ჩვენ, რასაკვირველია, არ მივიღებთ მოლაპარაკების წინასწარ პირობათ ევროპის ერთობლივი თავდაცვის და ჩვენი საერთო მიზნების მიტოვებას. ჩვენ არ გვსურს, აგრეთვე, წავიღოთ მონაწილეობა ისეთ საერთაშორისო მოლაპარაკებაში, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც დამონებულ ერთა მიტოვება".

„არც ჩვენ და არც ჩვენი მოკავშირეები დასავლეთის თავდაცვის პაქტიდან არ მივიღებთ ევროპის დასუსტებას, როგორც პირობას მსოფლიოში უძლიერესი სამხედრო მანქანის მქონე ტოტალიტარულ ქვეყანასთან მოსალაპარაკებლად, რომელიც ცნობილია თავისი წარსული უხეში და „აბსოლიუტური ძალმომრეობით".

„მით უმეტეს არ დავემორჩილდებით საბჭოთა კავშირის დაჟინებას, რომელიც მოითხოვს ყოველი მოლაპარაკების წინასწარ პირობათ, შეერთებული შტატების მიერ კომუნისტური რეჟიმის ცნობას ჩინეთის კანონიერ მთავრობად, და ცდილობს მის დაშვებას გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში ისე, როგორც დიდ სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრად".

„მოლაპარაკებაში ჩვენი გამოსავალი იქნება ძალის და არა სისუსტის პოზიცია"...

რამდენ ტრაგიკულ მოულოდნელობას ასცილდებოდა კაცობრიობა, რომ ამ ენერგიულ სიტყვებისა და მოკავშირეთა აქტების შუა თარიგშის საშუალება არ გაჩნდეს საბჭოთა „დიპლომატიას!".

ვ.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

როგორც „მებრძოლი საქართველოს"-ს მე-17 ნომერში უკვე იტყობინებოდა, ჩვენს საზღვარგარეთულ გამოცემათა ღარიბ კოლექციას ამ უკანასკნელად შეემატა მნიშვნელოვანი ისტორიული ნარკვევი ქალბატონი თამარ პაპავასი: **„დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში"**. წიგნი II, რვეული II.

წიგნი უსათუოდ მაღალი გემოვნებითაა შედგენილი და გამოცემული. მისთვის ჩვეული მშვენიერი ქართული ენით, ავტორი, ჩვენს წინ შლის იმერეთის სამეფოს და გურიის სამთავროს უკანასკნელ აგონიას. დედოფლების მარიამის და სოფიოს მომხიბლავ სახეებს, მათ მამაცურ თავდადებას ტახტის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, როგორც პირველი წიგნი ისე მეორე წარმატებით აღწევს ავტორის მიერ გამიზნული წერტილს.

ამ სახელოვან დედოფლებისა და ბატონიშვილ-მანდილოსანთა მიღმა ჩვენი დიდი დედებია, ქართველი მანდილოსნებია. ქართველი დედებია ურყევ ჯებირად აღმართული მზაკვრულად შემოსეული მტრისაგან ქართული ოჯახის, ქართული ტრადიციების, ქართული ენისა და კულტურის გადასარჩენად. ისინი ღირსნი არიან მათი შვილების ხოტბისა და მადლიერი მოხსენიების. ხოლო ქართველი ქალიშვილი, სადაც არ უნდა იზრდებოდეს ის, სიამაყეს უნდა გრძნობდეს, რომ ასეთი ღირსეული მემკვიდრეობის გამგრძელებელია და გადამცემელი. ამიტომ ეს პირველი ორიგინალური ნაბიჯი ქალბატონი თამარ პაპავასი ორმაგად დასაფასებელია და მისასალმებელი.

**ჩვენ** ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში" ემიგრაციის ჩარჩოებს გასცილდება და იქაც — ჩვენს ქვეყანაში — იგი გახდება მოზარდი ახალგაზრდობის საყვარელ საკითხავ წიგნად.

„მებრძოლი საქართველოს"-ს რედაქცია ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს უსურვებს ქ-ნ თამარს, რომ მისმა მადლიანმა კალამმა კვლავინდებულად ემსახუროს ქართული ეროვნულ სულის ზრდასა და სრულყოფას.

## ვერა ფალავა

გასულ წლის ნოემბერში, ბრიუსელში მოეწყო ქ-ნი ვერა ფალავას სურათების გამოფენა.

ჩვენი თანამემამულის სურათების გამოფენამ მნიშვნელოვანი გამოძახილი ჰპოვა ადგილობრივ საზოგადოებაში. მხატვრულმა კრიტიკამ ერთხმად ხოტბა შეასხა ქართველ ხელოვანს.

გამოფენა გაგრძელდა 21 დეკემბრამდე. ვერა ფალავას მხატვრული ნიჭსა და მის სიმწი-

ფეს ადასტურებს პარიზის ყველა დიდ გამოფენებში მისი მონაწილეობა. ამ ჟამად პარიზში, რომელსაც ომის შემდეგ ისევ დაუბრუნდა მსოფლიო მხატვრული პარნასის მნიშვნელობა, ვერა ფალავას სახელს უკავშირებენ განათლებულ მხატვრებს. ამ წლის გაზაფხულზე ის მხატვრული გალერეა, რომელსაც ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე ვერა ფალავა დაუკავშირდა, აწყობს მისი სურათების ფართო გამოფენას. ზაფხულის დასაწყისში კი ნიუ-იორკში პირველად მოეწყობა მისი გამოფენა. თავის დროზე ჩვენი გაზეთის ფურცლებში აღნიშნული იქნება ქართველებისათვის ეს სასიამოვნო მოვლენები.

ნ. უ.

# ქრონიკა

### ბოლშევიზმისაგან განმათავისუფლებელი ამერიკული კომიტეტი

გასულ წლის 2 დეკემბერს შესდგა ბოლშევიზმისაგან განმათავისუფლებელი ამერიკული კომიტეტის წლიური კრება. კომიტეტის თავმჯდომარედ ერთი წლით ხელახლად არჩეული იქმნა ადმირალი ლესლი სტივენსი. დამტკიცებულნი იქმნენ აგრეთვე ერთი წლით გამგეობის წინანდელი წევრებიც.

### ალ. ასათიანის პანაშვიდი

კვირას, 7 თებერვალს, პარიზის ქართულ ეკლესიაში, დიდ ძალი საზოგადოების დასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულ ალექსანდრე ასათიანის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ევ. გეგეჭკორი და საქართველოს ელჩი აკ. ჩხენკელი.

### ა ხ ა ლ ი  წ ი გ ნ ი

ჩვენმა თანამემამულემ **ვიქტორ ნოზაძემ** არგენტინაში დაიწყო თავისი დიდი შრომის **„განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა“**-ს გამოცემა. რედაქციამ მიიღო ამ შრომის ნაწილი: „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველობა“, წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რომ უსახსრობის გამო, ავტორი თავის შრომას ბეჭდავს ნაწილ - ნაწილათ, რვეულების სახით. თვით წიგნი შეიცავს შემდეგ ნაწილს: ღმრთისმეტყველობა, ვარსკვლავმეტყველება, მზისმეტყველება, საზოგადომეტყველება, ზნეობათმეტყველება, სიყვარულთამეტყველება, ფერთამეტყველება, ბუნებისმეტყველება და ბოლოს დასკვნა: ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა.

„მებრძ. საქ.“ რედაქცია განიხილავს თავის დროზე ზემო ხსენებულ შრომას, როდესაც დასრულდება ამ მეტად საინტერესო წიგნის სრული დაბეჭდვა.

### ბ. იოს. გობეჩიას ბროშურა

ბატონმა იოსებ გობეჩიამ გამოსცა წიგნი - მოწოდება: „პატარა ერების საერთაშორისო სოლიდარობა და ემიგრაციის მოვალეობა“.

ავტორი ეხება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ „ასეთი გამამხნევებელი პერსპექტივის მიხედვით ჩვენი ემიგრაციის გაორკეცებულ მოღვაწეობას საიმედო გზა ეხსნება“-ო, რისთვისაც აუცილებლათ სთვლის ემიგრაციის საერთო ფრონტის შედგენას, და საამისოთ ერთგვარ პრაქტიკულ წინადადებასაც იძლევა.

### შეცდომის გასწორება

„მებრძოლ საქართველოს“ მე-17 ნომერში სამწუხარო გაუგებრობისა გამო შეცდომით აეწყო პირველი ტაეპი წერილის: „გამოხმაურება ჩვენს გამომცემლობაზ“-ე იმ სახით, როგორითაც იგი დაისტამბა.

ეს ტაეპი შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს:

„მებრძოლ საქართველოს“ მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ, ბ-ნ გ. კერესელიძის შრომამ: „ბედი ერთი ერისა — საქართველო“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაგ. უკრაინულ «Українське Слово»-ში ვრცელი ამონაწერებით; მიუნხენის ABN Korrespondenz-ის მე-11-12 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ №№-ის წერილი, სადაც ვკითხულობთ:...

ჟურნალ „მებრძოლი საქართველო“-ს რედაქცია მოთავსებულია:

9, Rue JOBBE DUVAL. — Paris 15.
Tél.: VAU. 25-14

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს აღნიშნული მისამართით.

Directeur responsable: Nic. Ourouchadzé, 13, rue Edgar-Quinet Montrouge — Seine
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.

გ-71